

საქართველო მართლიანობის

კუთხის
სამიზანი



K 232:019
3

საქართველოს სსრ
საბაკუშვილის და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული“
19 თბილისი 60

შეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა

შუა ქართლის ერთ-ერთი ულამაზესი ხეობა, კავთურას ხეობა, მდებარეობს ქისპის რაიონში. მისი აქოჩრილი მთები, ბალ-გენახიანი უბე-კალთა მშენიერ სანახაობას წარმოადგენს.

ხეობას ჩამოუდის მდინარე კავთურა. იგი გამოდის დიდგორის ქედიდან. ყველაზე მოზრდილი შენაკადი გუდალურა მას უერთდება სოფელ კავთისხევთან. კავთურა მტკვარს სოფელ ხანდაკთან შეერთვის. ამ ხეობის სიგრძე დაახლოებით 15 კილომეტრია.

სახელწოდება „კავთა“, ხალხური გადმოცემით, უკავშირდება კავს (კავიან ჯოხს). ერთი მეცხვარე, გვარად ლომიძე, თურმეცხვარს აძოვებდა კავთურას სათავეზე. აქ, ნანგრევში, მას შეუმჩნევია რაღაც ბრჭყალი ნივთი, შეუყვია თავისი კავიანი ჯოხი და ხატი გამოუტანია. ეს ხატი იქვე დაუსვენებიათ და აქ აუგიათ კავთის წმ. გიორგის პატარა ეკლესია. ამ ისტორიული კავის გამო აღვილეს და მდინარესაც კავთა დარქმევია. ლომიძისათვისაც გვარი კავთაშვილად შეუცვლიათ.

უფრო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს სახელწოდება „კავთა“ დაკავშირებული იყოს „კვართასთან“ (ქრისტეს პერანგი), „კვართობასთან“. კვართი ქრისტესი, როგორც ამას გადმოგვცემს საექლესიო ლეგენდა, დაფლულია მცხეთაში. ამას ისიც გვათიქრებინებს, რომ სოფელ ხოვლეში არის „კვართის“ ქოში და „კვართის“ ეკლესია, სადაც იციან ხატობა „კვართობა“. კავთისხევიც ემორჩილებოდა მცხეთის სვეტიცხოველს და, ამის გამო, შესაძლებელია, ამ ორ სახელწოდებას შორის არსებობდეს გენეტიკური კავშირიც.

ამ ხეობას ვახუშტი ბაგრატიონი ასე აგვიწერს: „ნიჩბისის დასავლით ხევი კავთისა. გამოსდის დიდგორს, დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამხრიდამ. ქვათახევამდე ვენახოვანი, ხილიანი...

და არს აღგილი შემკული, ზაფხული გრილი, წყაროიანი; ზამთარ თბილი; გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალნი“¹.

კავთურას ხეობის ისტორიული წარსული შეუსწავლელია. უეპე-ლია, ეს ხეობა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნებრივი სიმდიდრით ერთგვარ როლს თამაშობდა შუა ქართლის ისტორიულ წარსულ ში. ამას მოწმობს, ჯერ ერთი, ამ ხეობაში არსებული ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, ქვათახევის მონასტერი, რომლის აშენებას მაცუთვნებენ მე-12—13 საუკუნეთა მიჯნას. ეს მონასტერი, რასაკვირველია, შემთხვევით არ იყო აგებული. მე-12 საუკუნეში აქ უნდა ყოფილიყო მჭიდრო მოსახლეობა, რომელსაც ეს მონასტერი ემსახურებოდა. ეს იყო ამ ხეობის ერთგვარი კულტურულ-იდეოლოგიური ცენტრი, სადაც ეწეოდნენ მწიგნობრობას, ავრცელებდნენ წერა-კითხვის მცოდნეობას, ქრისტიანულ იდეოლოგიას.

ქვათახევის მონასტერი ძლიერი იყო ეკონომიურადაც. იგი ერთ-ერთ უმდიდრეს მონასტრად ითვლებოდა საქართველოში. მის წინამძღვარსაც საპატიო აღგილი ეკავა საეკლესიო იერარქიაში. ამასთანავე იგი უშუალოდ ემორჩილებოდა მცხეთის საკათალიკოსოს. როგორც საისტორიო საბუთებიდან და წყაროებიდან იჩქვევა, ეს მონასტერი იყო ამ ხეობის ბატონ-პატრინი.

საქართველოს მეფე-დიდებულები ქვათახევის მონასტერს განსაკუთრებულა, პატივით ეპყრობოდნენ და მას სწირავდნენ მამულებს, სოფლებსა და ყმა-გლეხებს.

მეფეებს აქ საზაფხულო აგარაკებიც ჰქონდათ. ვახუშტი ამბობს: „არს თვალივს სასახლე მეფეთა, ნაშენობა დიდი“.

მე-14 საუკუნის დასასრულს ეს კეთილმოწყობილი მხარე და მისი მდიდარი მონასტერი გაუნადგურებია თემურ-ლენგის შემოსევებს. თემურ-ლენგს გაუძარცვას ქვათახევის მდიდარი მონასტერი და მონაზვები დაუსხოცავს. ამის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „ესე ვითარითა სიბოროტითა მიიწივნეს ქვაბთა-ხევს, და იგიცა მოიცვეს და ჰყვეს მრავალი ბოროტი და ინებეს ეკლესიისა ცეცხლითა დაწვა და დარღვევა. რამეთუ შიგან ტაძრისა მის შელტოლვილ იყვნეს ყოველნივე მღვდელ-მონაზონი, მათ ყოველთა შეუკრნეს ხელი და ფერხნი და დაწუეს, აღაგზნეს შიგან და გარეშე.“

¹ აღწერა სამეცნიან საქართველოსა, თბ., 1941 წ., გვ. 55.



სურ. 1. ქვათახვეის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი

ტაძრისა მის ცეცხლი მძაფრი, და დაწვეს ტაძარი იგი ქვაბთა ხევისა“¹.

თემურ-ლენგის განდევნის შემდეგ დაიწყო ამ ხეობის აღდგენა-მოშენება. როგორც საისტორიო საბუთებიდან ირკვევა, აქ დაწინაურებული აზნაური მაღალაძე². უეჭველია ამ გვარის ამაღლებასა და დაწინაურებას ხელი შეუწყო მე-15 საუკუნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა ვითარებამ; ამ დროს საქართველოს მთლიანობა დაიშალა და გიორგი VIII (1446—1466 წ.) მეფე-მთავრებთან ბრძოლაში იძულებული გახდა ზოგი საგვარეულო წინ წამოეჭია.

აქედან იწყება ამ გვარის დაახლოება მეფეებთან და კათალიკოსებთან. მაღალაძეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებულ სიძლიერეს ეს გვარი აღწევს მე-17 საუკუნეში, როდესაც გვარის მეთაურად გახდა პაპუა ნიკოლოზ ქადაგის ძე მაღალაძე, რომელიც იწოდებოდა „სვეტიცხოველის სახლთუხუცესად“ და განაგებდა მცხეთის მამულს ქართლსა და კახეთში. შაპინავაზის მიერ ბოძებულ სიგელიდან ირკვევა, რომ პაპუას „სვეტიცხოველისა მცხეთის სახლთუხუცესობა“ მიუღია როსტომ მეფისა და დიასამიძე კათალიკოსისაგან³. შემდეგ, როგორც ვიცით, ეს თანამდებობა მაღალაძეთა საგვარეულო თანამდებობად იქცა.

ამას მოწმობს აგრეთვე თვით პაპუა მაღალაძის ანდერძი⁴, რომელშიც იგი მოგვითხრობს თავის მოღვაწეობასა და დაწინაურებაზე „ხელმწიფოთა და პატრიონთ სიამოვნით და სამსახურით“. თავისი სამტლობელოს გასაფართოებლად და უფლება-გავლენის მოპოვების მიზნით, მას უშენებია სოფლები და სასახლეები, განსაკუთრებით დიდი მშენებლობა ჩაუტარებია წინარეხში, რომელიც იყო მისი საბატონოს რეზიდენცია. აქ მას ორგან ისეთი სასახლე აუგია „რომე უკეთესი ჩემს ტოლ კაცს არავისა ჰქონდან“. ამ სასახლის გვერდით 1679 წელს პაპუას აუგია ციხე (კოშკი), რასაც მოწმობს დღემდე შემონახული წარწერაც.

¹ ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიშინაძის გამოცემა, თბ. 1897 წ., ტ. II, გვ. 668.

² ვარ ტანგ ბერიძე, წინარეხელ მაღალაძეთა მშენებლობა მე-16—18 საუკუნეებში: საქართვ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV-B, თბ. 1947 წ., გვ. 195—204.

³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1940 წ., გვ. 29; საქ. მუზ. Ad 1689.

⁴ გ. ბოჭორიძე, „პაპუა მაღალაძის ანდერძი“: საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IX-B. 1936 წ., გვ. 54—58.

ანდერძის თანახმად, პაპუას ჰყოლია ექვსი ვაჟი, „ერთი ბერი და ხუთი ერი“. პაპუას ამ შეილების აღმზრდელი ყოფილა კათალიკოსი ბატონიშვილი დომენტი, რომელიც განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევდა პაპუასა და მის ოჯახს.

პაპუას ოჯახის მთელი შემადგენლობა: თვით პაპუა, მისი მეუღლე ელენე, ექვსივე ვაჟი, ქალიშვილი ხორებან გამოხატულია ორსართულიანი კოშკის ძირის სართულში, ე. წ. „მაცხოვრის“ სამლოცველოს დასავლეთის კედელზე¹.



სურ. 2. პაპუა მაღალაძის ოჯახი: მხატვრობა პაპუა მაღალაძის კოშკში.

პაპუას ვაჟთაგან ყველაზე მეტად ცნობილია ნიკოლოზი, რომელიც ანდერძში მოსხენებულია ბერად. იგი სასულიერო პირი იყო და სვეტიცხოვლის ქადაგის თანამდებობაც ეჭირა. ამიტომ იგი დიდი გავლენით სარგებლობდა მეფის კარზე. მისი სახელი ხშირად

¹ ეს ფრესკა პირველად გადმოიდო და გამოაქვეყნა გაფარიშა (იხ. მისი აღმოჩენა). მოთავსებულია აგრეთვე საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში (ს. ჭანაშიას რედ., 1946 წ., გვ. 355).

ისსენიება სიგელებში, როგორც „მოწმისა და დამამტკიცებლისა“¹.
იგი ისსენიება სვეტიცხოვლის ერთ-ერთ წარწერაში².

ნიკოლოზი თავისი შეძლებითაც არ ჩამოუვარდებოდა დიდ ფეოდალებს: ანახლებდა და ახატვინებდა ეკლესიებს, აწერინებდა სახარებებს, აჭედვინებდა ხატებს და მათ სწირავდა ეკლესია-მონასტრებს. პაპუა საჩუქრებსაც იღებდა მეფეთაგან, რასაც თავის ანდერძშიც მოგვითხრობს: „ბატონიშვილმა ლევანმა დამაყენა სარქანდ მცხეთას, და აუშენე და ჭირიც ენახე; და მიბოძა სომხითს ხატისოფლის მოურაობა საბოლოდ და სამკუიდროოთო.“ შემდეგ იგი ჩამოთვლის თავის მფარველ და დამაჯილდოებელ მეფეებს: ოეიმურაზ I, როსტომ მეფეს, შავნავაზს (ვახტანგს), არჩილს, გიორგის (XI) და ასე ამბობს: „მე ამ ბედნიერთა და სახელ მაღალთა და ხმალ ძლიერთ ხელმწიფეთაგან ჩემად ულირსად ჩემთვის პატივ წყალობა უხვად მბოძებელნიო“.

პაპუას ჩამოთვლილი ჰყავს მისი მწყალობელი კათალიკოსებიც: ევდემოზ დიასამიძე, ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი, ბატონიშვილი დომენტი, ნიკოლოზ ამილახორის შვილი და ასე ამთავრებს: „მეც მათი ნების მყოფელი და მაამებელი და ისინიც ჩემნი კეთილცს მყოფელნიო“ (იქვე, გვ. 55).

ამგვარად, პაპუას ანდერძის მხედვით, მაღალაძეთა გვარს ჰქონია საქმარდ დიდი გავლენა. ამასთანავე, ეს გვარი ფლობდა დიდ მამულებს და როგორც წარჩინებულ აზნაურს, ჰქონდა თავისი საკუთარი ციხე-სიმაგრე და კარის ეკლესია წინარეხში.

აზნაურ მაღალაძეთა ხელში იყო აგრეთვე სვეტიცხოვლის სახლ-თუბუცესობა და კათალიკოსის მდივნობაც. მაგრამ მე-18 საუკუნეში მაღალაძეთა ძლიერება ეცემა და წინარეხში მათი ბუდეც (რეზიდენცია) იშლება. ამისი ერთერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო დაღესტნელი ფეოდალების ამხედრება ქართლ-კახეთზე და მათი თავდასხმები.

როგორც ცნობილია, 1735 წლიდან ქართლ-კახეთში გაძლიერდა და დაღესტნელი ყაჩაღების ავაზაკური თავდასხმები, ე. წ. „ლეკიანობა“.

დაღესტნელი ყაჩაღები თრიალეთიდან გადმოდიოდნენ კავთურას ხეობაში და ანადგურებდნენ შუაქართლის მოსახლეობას. მოთარე-

¹ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, გვ. 57, 102, 103 და სხვ.

² Brosset, Voyage Archéologique, 1850 წ., II, გვ. 33.

შე ლექებმა ხელში ჩაიგდეს ქვათახევის მონასტერი, გაძარცვეს და შიგვე გამაგრდნენ. აქედან გამუღმებულ თავდასხმას აწარმოებდნენ ამ ხეობის მოსახლეობაზე, იტაცებდნენ სარჩისა და საქონელს, მოსახლეობა ტყვედ მიჰყავდათ. ხალხი შეხიზნული იყო ციხე-გალავნებში, თავდადებით იბრძოდა, მაგრამ ვერ უძლებდა მოთარეშე ლექებს, რომლებსაც იარაღით ეხმარებოდა ახალციხის ფაშა და თურქეთის სულთანი. ამის გამო მოსახლეობა აქედან გარბოდა და უშიშარ ადგილებში იხიზნებოდა.

მეფე ერეკლე II იძულებული გახდა, კავთისხევლები კახეთში გადაესახლებინა, რომ ამით ისინი გადაერჩინა ფიზიკური განაღურებისაგან. ერეკლეს კავთისხევლები დაუსახლებია ნაფარეულში და კურდლელაურში იმ პირობით, რომ ლექიანობის ალაგმვის შემდეგ მათ ისევ სამშობლოში დაბარუნებდა¹.

ეს გადმოსახლებული კავთისხევლები სოფ. კურდლელაურში დღესაც ცხოვრობინ, კარგად ახსოვთ გადმოსახლების ისტორია. აქ გადმოუტანიათ თავიანთი სალოცავი ხატიც — „კავთის წმ. გიორგი“, მისთვის აუგიათ პატარა ეკლესიაც, რომელსაც უწოდებენ „კავთის ეკლესის“.

ამის შესახებ ჯერ კიდევ 1877 წელს გაზ. „ივერიის“ კორესპონდენტი წერდა: „კურდლელაურში არის ეკლესია „კავთა“, რომლის ხატი კავთისხევიდან წამოუღიათ ბაჩაძეებს და აქ კურდლელაურში დაუსვენებიათ და ეკლესიაც აუგიათ“. („ივერია“, 1877 წ., № 16. გვ. 5—8).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც გრძელდება ამ ხეობაში ლექთა თარეში, რომლის შიშით მოსახლეობა აქ ფეხს ვერ იკიდებდა.

1829 წლის აღწერაში, რომელიც ოვით მაღალაძეების მიერ არის შედგენილი, ნათქვამია: „ზემო წინარეხს საკუთარი ჩვენი ნასახლარი და ნაბაღვარი თავისი შემოზღუდულებითა დაშთენილი წინაპართა ჩვენთაგან, რომელიც აწ გატყევებული არს“².

1847 წელს პლატონ იოსელიანი დაათვალიერა წინარეხის მაღალანთ ნამოსახლარი, ფრინველების ამარად შთენილი.

¹ Платон Иосселиани, Описание Кватахевского монастыря, гл. 158 (იხ. Жизнь великого Моурава Георгия Саакадзе. ТБ. 1848г.)

² საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი საბუთები Qd—1 28.

როგორც თვითონვე ამბობს, ქართლის სამეფოს მძიმე წარსულს მწარე ფიქრები აუზლია მისთვის.

კავთურას ხეობის მოშენება-დასახლება დაწყებულა მე-19 სა-უკნის მეორე ნახევრიდან. 90-იან წლებში კავთურასა და გუდალურას სათავეებში დასახლებულან მთიულები, რომლებიც გადმოსულან ფასანაურისა და მლეთის მხრიდან (წიკლაური, აფცაური, ბურდული, კობიძე და სხვ.). კავთურას შუა და ქვემო ნაწილის სოფ-ლებში მოსახლეობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსულები: აბუაშვილი—ბარალეთიდან, ონოფრიშვილი—საგარეჯოდან, იაშვილი და აბულაძე—იმერეთიდან, ქემელაშვილი—თელათვისრიდან და სხვ. აქ მოსახლე გვარებში სახელოვანი ყოფილან: გოდაბრელიძე, მონასელიძე, ღვინიაშვილი და შეშაბერიძე. მათგე ხალხური ლექსიც არსებობს:

გუდალეთს—გოდაბრელიძე
კავთისხევს—მონასელიძე
იდლეთში—ღვინიაშვილი
თვალადზე—შეშაბერიძე.

მათერიალური კულტურის ძიგლები

კავთურას წეობაში შემონახულია მატერიალური კულტურის საყურადღებო ძეგლები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევიან აქაური მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

აქაური მოსახლეობა ჯვარულად არის განლაგებული. სოფლები ხეობის ნაპირას მდებარეობენ და ერთმანეთზე რამდენიმე კილომეტრით არიან დაშორებული. არის სამი სასოფლო საბჭო: ხანდაკისა, კავთისხევისა და წინარეხისა. მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 6200 სულს.

ბევრია ნასოფლარი ადგილი და ახლად გაშენებული სოფელიც. საყურადღებოა, რომ ძველი სახელწოდებანი აქაურ სოფლებს თითქმის დღემდე შემოუნახავთ.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ძველი (გახუშტის მიხედვით) და ახალი (დღევანდელი) სოფლების სახელწოდებათა სიას.

ქველად (გახუშტის მიხედვით) 1. ხანდაკი, 2. იდლეთი, 3. კავთისხევი, 4. წინარეხი, 5. თვალი, 6. გუდარეხი, 7. ბეფანი, 8. ეზატი, 9. ახალუბანი, 10. ბოტისი, 11. საკურთხისი, 12. თელათ-გორი, 13. გომიჯვარი, 14. ლავრა.

დღევანდელი სოფლები: 1. ხანდაქი, 2. იდლეთი, 3. კავთისხევი, 4. წინარეხი, 5. ოვალადი, 6. გუდალეთი, 7. ეზატი, 8. ბოტისი, 9. საკურათხისი, 10. ოელათ-გორი, 11. გომისჯვარი, 12. ლავრის ხევი, 13. ვერხოულა, 14. ზეარქოტმანი, 15. ვარჯაანი, 16. წიფორი, 17. პარეტისი.

აქ არ შევუდებით ყველა სოფლის ჯგურისა და იქ დაცული ძეგლების აღნუსხვას, შევეხებით მხოლოდ ისეთებს, რომელგბმიც დაცულია მატერიალური კულტურის საყურადღებო ნაშთები და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა ხასიათის ხალხური თქმულებები და გადმოცემანი მათა წარსულის შესახებ.

სოფ. კავთისხევი მდებარეობს კავთურას ნაპირას, იგი შედგება სამი უბნისაგან: ციხისუბანი, ბარდაანი და შუა უბანი (ზემო და ქვემო). სოფლის სახელწოდება დაკავშირებულია მდინარე კავთათან, რომლის ხეობაშიც იგი გაშენებულია.

კავთისხევის ძველ უბანს წარმოადგენს ე. წ. „ციხისუბანი“. მოსახლეობა აქაც, ჩეულებრივ, შეჯაფულია, ურევია ძველი ტიპის სახლებიც. ამ უბანში დაცულია ძველი ციხე-გალავნის საძირკველი, რომელიც აქაურ მებატონებს, თარხნიშვილს, ეკუთვნოდა.

როგორც ცნობილია, თარხნიშვილები გიორგი სააკაძის შთამომავალნი არიან¹. სააკაძეთა წინაპრები კავთისხევის მოურავები ყოფილან, რასაც მოწმობს გულშარა დედოფლის სიგელი, მიცემული კავთისხევის მოურავის იგანე სააკაძისადმი.

ამ სიგელში ნათქვამია, რომ „ესე სიგელი და წიგნი გიბოძე ჩუენ დედოფალმან გულშარა თქუენა სააკაძეთა კავთისხევისა მოურავსა იგანეს, თქუენსა ძმასა გიორგისა, შვილთა და მომავალთა ყოველთავე სიამშა, როსტევანსა, შალვასა, ავთანდილსა, გაგიცელეთ ნოსტესა გულიასეული სასახლე მისითა მიღამოთა.... ესე ასრე გაგიცეალე, ჩემსა მეზვრესა კავთისხევსა სანაცვლო სახლკარი მოეცა“ და სხვ.².

შემდეგში ქართლის მეფე როსტომმა 1659 მიცემული სიგელით

¹ „თარხანი“ ნიშნავს თავისუფალს და პირველად გიორგი სააკაძემ მიიღო „თარხან-მოურავის“ სახელწოდება, რომელიც შემდევ გადაიქცა მის შთამომავალთა გვარად: თარხან-მოურავი, თარხნიშვილი (იხ. Пл. Иоссеилиани, Жизнь великого моурава Георгия Саакадзе, Т., 1848 г. стр. 6—7).

² ს. კაკაბაძე, გიორგი სააკაძის ვინაობის შესახებ: საისტორიო კრებული, თბ., 1929 წ., წიგნი მე-4, გვ. 67—75.

თარხამ თარხან-მოურავს დაუმტკიცა კავთისხევის სათარხნო მული¹.

თარხნიანთ ციხე-გალავანი ყოფილა ქავთურის ნაბირას. დღეს დარჩენილია მისი ერთი კოშკის ქვედა სართული, რომლის სიმაღლე უდრის სამ მეტრს. გალავანშივე ყოფილა წმ. გორგის სახელმის ეკლესიაც, ახლა ნანგრევებად ქცეული. ამ ციხე-გალავანს უჭირავს დაახლოებით ნახევარი ჰექტარი ფართობი. მებატონე თარხნიშვილს აქ სასახლე ჰქონია.

გადმოგვცემენ, რომ ციხე-გალავანს სამხრეთის მხარეზე შემოვლებული ჰქონია ღრმა თხრილი, რომელზედაც ხის მორები ყოფილა გადებული. ლეკების შემოსევის დროს ხალხი ამ ციხე-გალავანში იხიზნებოდა, გადადიოდნენ თხრილზე მორებით, შემდეგ მორებს ციხის გალავანში შეათრევდნენ, მტერს კი ღრმა თხრილზე გადასვლა უძნელდებოდა.

თავდაპირველად თარხნიშვილს აქ ყმები არ ჰყოლია. ერთხელ თარხნიშვილს ციხისუნელი გლეხებისათვის უთხოვდა, ქალს ვათხოვებ და სთქვით, ვითომც ჩემი ქალის ყმები ხართ. ამაზე შატაკიძის გვარი დათანხმებულა. ამით უსარგებლია თარხნიშვილს და ეს გვარი თავის ყმად გაუხდია.

კავთისხევს დალესტნელი ყაჩაღები აოხრებდნენ და ამიტომ მას თურმე „შავსოფელს“ უწოდებდნენ. ლეკები თავს ესხმოდნენ სოფელს მკის დროს და კავთისხეველები ბურის სათესად მუხრანში გადადიოდნენ. თავდამსხმელებთან ბრძოლაში სახელი მოუხვეჭიათ ქვლივიძეს, მარუაშვილსა და ქასრაძეს.

ქვლივიძე გლეხი ყოფილა. ერთხელ იმერეთიდან მომავალ სვიმონ მეფეს კავთისხევში გამოუვლია, მისდგომია ერთ ოჯახს, გამოსულა ქვრივი დედაკაცი და მეფისთვის სუფრა გაუშლია.

მეფეს უკითხავს, სად არიან, მამაკაცებით. დედაკაცს უპასუხნია, ყველანი ბრძოლაში არიანო, რომ ჩვენი მეფე სვიმონი იყოს კეთილად და მტერმა არ გადაგვლახოს. მეფეს არაფერი უთქვამს. მეორე დღეს მეფე წასულა და ქვრივისათვის ძლვენი გამოუგზავნია და ქვლივიძისათვის აზნაურობაც უბოძებია.

მარუაშვილებს ციხისუბანში უცხოერიათ, მათ ნასახლარს ახლაც ეწოდება „მარუაშვილი“.

კავთისხევში დაცულია ორი ეკლესია-სამლოცველო:

¹ Пл. Иосселиани, იქვე, გვ. 116.

კავთის წმ. გიორგი და ლომისას წმ. გიორგი. კატ-
თის უცხოული ექლესია ნაგებია რიყის ქვით, ურევია აგურიც. იგი
ერთნავიანია, ქართული კრამიტით გადახურული. დასავლეთის
მხარე მორღვეულია. ექლესის სიმცირის გამო, შემდეგში, მე-19
სუკუნეში, მიუშენებიათ საკმაოდ დიდი ექლესია. აქ ხატობა იმარ-
თებოდა 28 ივნისს, „თავკავთობას“. თავკავთა კი მოთავსებუ-
ლია დიდგორთან, კავთის სათავეში. ვისაც თავკავთაში არ შეეძ-
ლო ასელა სალოცავად, აქ მოდიოდა შესაწირავით და დგებოდა
ღამის სათვევად.

ამ ექლესის უბანში ცხოვრობენ შაყულაშვილები, რომლებიც
სპარსეთიდან გადმოსულიან. მათი წინაპარი ყოფილა შაჰ-ყული,
რომელიც სპარსეთის ლაშქარს გამოქცევია და კავთისხევში ღამა-
ლული.

ამ გვარს კავთისხევში თავისი კოშკი ჰქონია, რომელიც და-
უნგრევიათ და ამ ნაკოშკარზე ახლა დგას ილა შაყულაშვილის სახ-
ლი. კოშკი ორსართულიანი ყოფილა, მეორე სართულზე ასასვლე-
ლი კიბეც შიგვე ჰქონია გამართული, კოშკზე მიღებული ყოფილა
დარბაზიც.

კავთურას ექლესის ჩრდილოეთით (შუა უბანში) ყოფილა
და ვლაძიანთ კოშკი, აქვე ამ გვარს დიდი მამულიც ჰქონია. ეს
მამული გიორგი სააკებელ უბოძებია ბერთ დავლაძისათვის, რომე-
ლიც მის დროს დაწინაურებულა. კოშკი ყოფილა მაღალი და საკ-
მაოდ დიდი. შემდეგ ეს მამული გაყიდული და კოშკიც საშენ მა-
სალად გამოუყენებიათ.

ამავე უბანშია მონასელიანთ წმ. გიორგის ექლესია,
რომელიც აგებულია გორაკზე. ექლესია ნაგებია კლდის ქვით და
გადახურულია ქვაფიქალით. იგი ერთნავიანია და შიგ მოხატულიც
ყოფილა, მხატვრობის ნაწილი შერჩენილია საკურთხევლის კედელზე.
ექლესია გვიანი დროისაა, დაახლოებით მე-16—17 საუკ. უნდა იყოს.
იგი შემოზღუდული ყოფილა ქვის გალავნით, მის გარშემო ნასახ-
ლარი აღვილებია, სადაც კარგად მოჩანს ჩაქცეული სახლების
საძირკვლები.

ამბობენ, ამ სოფელში ემი (ჭირი) გაწენილა და მონასელიძეე-
ბიც ამოწყვეტილანთ. გადარჩენილა ერთი ბავშვი (ვაჟი), რომელიც
გაუხიზნას შემაბერიძეს. როდესაც იგი გაზრდილი, ისევ გადმო-
სულა და აქვე მახლობლად დასახლებულა იმ ადგილას, რომელსაც
ახლა უწოდებენ მონასელიანთ უბანს.

ქავთისხევის ქვემო უბანში არის ლომისას ეკლესია (წ. გიორგი). აქაც ორი ეკლესია. ერთი ძველია და პატარა, მეორე კი ახალია და დიდი; ზედევ აწერია, 1886 წელს აშენდა. ძველი ეკლესია კლდის ქვით არის ნაგები, ერთნავიანია და სამხრეთით მიშენებული აქვს დახურული დერეფანი. აღმოსავლეთის მხარეზე, ზედ სახურავზე, აღმართულია ფიქალევა, რომელზედაც გამოსახულია ხელის მტევანი, მზე და მთვარე.

დღეობა აქ იმართებოდა 15 ივნისს (ახალი სტილით). სალოცავად მოდიოდნენ მთიულები, რომელიც მას უკავშირებდნენ მთიულეთის ლომისას (თავლომისას).

გადმოცემით, ამ ადგილას ქართველებს დაოცსტნელ ყაჩალებან უბრძოლიათ ლომურად და მეფის ბრძანებით აქ აუგიათ ეკლესია, რომელსაც უწოდეს „ლომისა“.

ქავთისხევში, სოფლის დასავლეთის მხარეზე, სოფ. ეზატის მიმართულებით, არის ე. წ. ა ნ ა ნ ა გორა.

ეს გორაკი წარმოადგენს ყორლანისებურ ბორცვს, რომლის სიმაღლე უდრის 12 მეტრს. ხალხური გადმოცემით, ეს არის დალესტნელებთან ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა სასაფლაო. ანანას ეს გორაკი პირდაპირ გასცემის ძლევის ქედს, სადაც ეს მეომრები დახოცილან. მათი საფლავის ქვაფიქალები ახლაც მოჩანს. ეტყობა, საფლავები ფიქალქვებითაა ამოგებული და გამართულია კიბურად. ჯერ დასაფლავებულია ერთი წყება, ზედ დაყრილია მიწა, შემდეგ უფრო ზემოთ მეორე წყება, შემდეგ მესამე და იმგვარად აღმართულია ბორცვი. აქვე მიმოფანტულია ადამიანის ჩონჩხის ნაწილები, ნივთები არ აღმოჩენილა. ეტყობა, დასაფლავება გვიანი დროისაა, დაახლოებით მე-16—17 საუკუნისა. სახელწოდება „ანანა“, შეიძლება იყოს სარდლის სახელი, რომელიც მეომრებთან ერთად აქვე უნდა იყოს დასაფლავებული.

ი დ ლ ე თ ი მდებარეობს ქავთისხევის აღმოსავლეთით. აქ დაცულია შესანიშნავი ძველი ეკლესია „იოანე ნათლისმცემელი“. ამბობენ, ეს ეკლესია თამარ მეფეს აუგიაო. იგი ნაგებია ქვითკირით, ზოგან ცისფერი ქვებიც ურევია. ტაძარი ჯვრის ფორმისაა, გუმბათი დაბალი და ოთხუთხა ფორმისაა აქვს. გადახურულია ფიქალქვებით. ეკლესია ყოფილა მოხატული, მხატვრობა შერჩენილია საკურთხევლის კედელზე.

იდლეთის ეკლესია თავისი გეგმითა და სამშენებლო თვისებებით ამჟღავნებს უშუალო კავშირს საქართველოს აღრე-ქრისტია-

ნულ კლასიკური ხანის ძეგლებთან (სამწევრისი, მცხეობს ჯვარი, ატენის მცირე ტაძარი, შიომღვიმე და სხვ.). მისი აშენების თარიღიც განისაზღვრება მე-6 საუკუნით.¹ რაც შეეხება იდლეთის კედლის მხატვრობას, მას მიაკუთხნებენ მე-11—12 საუკუნეს.²

თვალადი მდებარეობს კავთისხევის ზემოთ, სამხრეთით, გავთურას ხეობაში. აქაური მოსახლეობის ძევლი უბანი შეჯგუფულია, ახალი კი გაფანტული. ვა ხუ შტი მას უწოდებს თვალივს და ამბობს: „თვალივს სასახლე მეფეთა, ნაშენობა დიდით“ (გვ. 56). ამგვარად, ეს ადგილი ყოფილა მეფეთა საზაფხულო სადგომი, რომელსაც დღესაც მეფის ნასახლარს უწოდებენ.

სოფლის თავზე არის ძველი ეკლესიის ნანგრევი, ე. წ. კავთის წმ. გიორგი, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ ონოფრიანთ ეკლესიას.

ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, ზოგან აგურიც ურევია, ნაგებობის მიხედვით მიეკუთხნება მე-16—17 საუკ. გადმოცემით, თავკავთაში ლეკებს მლოცველები დაუხმულეთ, ხალხი ლეკების შიშით თავკავთაში სალოცავად ვერ მოდიოდა. ამის გამო მის მოადგილედ ეს ეკლესია აქ აუშენებიათ.

შუა სოფელში დაცულია ძევლი საყდარი, ე. წ. წმ. ნიკოლოზი, ამ ადგილს ეძახიან მეფის (როსტომ მეფის) ნასახლარს. ამ საყდარსაც მეფის საყდარს უწოდებენ.

ეს ადგილი ამჟამად ეკუთხნის მექან არა შვილებს, რომელთა წინაპარი ყოფილა მეფის მემუსიკე, დამკვრელი მექანარე და ამის გამო უწოდებიათ მათვის მექანარაშვილი.

მეფის ეს კარის ეკლესია (წმ. ნიკოლოზი) კლდის ქვით არის ნაგები. გადახურულია ფიქალქვით. საყდრის მახლობლად მდგარა ექვესართულიანი ქოშეი. დარჩენილი იყო მხოლოდ ქვედა სამი სართული და ისიც 1941 წელს დაუშლიათ. ნაკოშკარი ადგილი ახლაც კარგად მოჩანს დავით მექანარაშვილის სახლის გვერდით. ეკლესიის ჩრდილოეთით მეფის საჯინიბო მდგარა, მის აღმოსავლეთით კი სანალარო (მემუსიკეთა სადგომი).

კოშეის უკან, სამხრეთით დავაკებულ ადგილს უწოდებენ ტბას. წინათ ტბა ყოფილა, ახლა ამომშრალია და ლერწმით არის დაფარული. ტბის ზემოთ ნანგრევია, რომელსაც მეფის აბა-

¹ ვ. ცინცაძე — იდლეთის ნათლისმცემლის გუმბათოვანი ეკლესია: ქართული ხელოვნება, ტ. 3, 1950 წ., გვ. 1—10.

² თ. გიორგისალაძე, აქვე, გვ. 11—12.

ნოს უწოდებენ, ანუ „ნააბანოებს“. მთელი ეს ფართობი, დაახლოებით ერთი ჰექტარი, შემოზღუდული ყოფილა ქვითკირის გალავნით, რომლის ნაშთი ახლაც კარგად ეტყობა. შიგ გალავანში ყოფილა მეფის სასახლე და სხვადასხვა სადგომები.

ხალხური გადმოცემით, როსტომ¹ (როსტევან) მეფე ზაფხულობით აქ ისვენებდა.

მეფის ნასახლარის უკან პატარა მინდორია, ე.წ. სანალარი, სადაც ნალარა დაუკრავთ გამარჯვებულ მეფის შესახვედრად. იქვეა ადგილი მისალოცი, სადაც ხალხს, მეფისათვის გამარჯვება მიულოცნია.

ხალხური გადმოცემით, თამარ მეფის დროს აქ დიდი ბრძოლა ყოფილა და თამარის სარდალს, მხარეგრძელს² გაუმარჯვნია. მეფეს მხარეგრძელისათვის უკითხავს, რა ქნა ჩვენმა ჯარმაო, მტერსა სძლიაო?

უპასუხნიათ, მტერსა კძლიერო. მეფეს უთქვამს, ამ ადგილს ეწოდოს ძლევის ქედით.

ძლევის ქედის გორაკზე აშენებულია ქვითკირის პატარა ეკლესია, ე.წ. ძლევის ქედის წმ. გიორგი. ოღმოსავლეთის მხარეზე დატანებული აქვს ქვაფიქალი, რომელზედაც გამოსახულია ჯვრები. ეკლესიის აღმოსავლეთის მხარეზე ყოფილა მხარეგრძელის საფლავი.

ეკლესიის დასავლეთით, გორაკის ბოლოს, ძეგს ორი დიდი ქეა, საგარძლის მოყვანილობისა. ხალხური თქმულებით, ამაზე სხდებოდნენ თაშარ მეფე და მხარეგრძელი და აქედან მეთვალყურეობდნენ ჯარების მოქმედებას.

თვალადს დაღესტნელი ყაჩაღები არ უსვენებდნენ თურმე, ხალხს ტყვედ იტაცებდნენ და დიდ გამოსასყიდს მოითხოვდნენ. მათთან ბრძოლაში სახელი გაუთქვამს თვალადელ თაგვია შვილს (პაპიაშვილი), რომელსაც მედალივით ეკიდა იმათი ასი ცხვირიო.

ერთხელ დაღესტნის ჯარი ლამით მოდიოდა, გზა აბნევია და „ტბა მლაშეში“ ჩაფლული ასი ცხენოსანი. ეს რომ თაგვიაშვილს გაუგია, მაშინვე გაქცეულა, ტბაში ჩასულა, ჯარი ამოუხოცავს და მათი ცხენები წამოუსხამს. დაღესტნელებს მაშინვე გამოუგზავნიათ

¹ ეს არის ქართლის მეფე როსტომი, რომელიც მეფობდა 1632—1658 წ.წ.

² ზაქარია და ივანე მხარეგრძელები თამარ მეფის სახელმოხვეჭილი სარდლები იყვნენ.

სამომრად თავიანთი ბელადი. ორივენი—მათი ბელადი და თაგვია-
შვილი პირისპირ შეხვედრიან ერთმანეთს. ორივემ ხმლები იშიშვ-
ლა, თაგვიაშვილის ხმალი უფრო გრძელი ყოფილა. დალესტნელს
უთქვამს თაგვიაშვილისათვის, ხმალი ჩააგეო. თაგვიაშვილს უპასუ-
ხია, შენ ლეკი ხარ, არ გენობი, ხმალი შენ ჩააგეო. ლეკს ხმალი
ჩაუგია, თაგვიაშვილს პირობა გაუტეხია, ხმალი მოუქნევია და ლე-
კის ბელადისათვის თავი გაუგდებინებია.

თაგვიაშვილის ეს ამბავი მეფეს გაუგია და მოუსურებებია
მისი ნახვა და დასაჩუქრება. იგი მეფესთან მისულა, მეფეს მისთვის
უბოძებია ორმოცი დღის მამული და თაგვიაშვილი დაურქმევია.

მისი გვარი პაპიაშვილი ყოფილა, მაგრამ იგი პატარა ტანის
კაცი იყო, თაგვიყით მოძრავი, ცოცხალი და მარდი. თურმე გა-
შენებულ ცხენს შეატებოდა და ხმალი კი ძირს დასთრევდა.

თაგვიაშვილს მეფისათვის მაღლაბა მოუხსენებია და წამოსვ-
ლისას ცხენზე უქულმა შემჯდარა. მეფეს უთქვამს, შენ ცხენზე ჯდო-
მა არ გცოდნიაო. ეს თქვენს პატივსაცემად გავაკეთეო. მეფეს პასუ-
ხი მოსწონებია და მისთვის მამული უბოძებია სოფ. ეზატში.

თვალადში ყოფილი ძევლი ქართული დარბაზები, თავხებითა
და დედაბოძებით გამართული. ეს დარბაზები დაუშლიათ და გა-
დაუკეთებიათ თანამედროვე ტიპის სახლებად. მათგან დარჩენილია
მხოლოდ ერთი დარბაზი, რომელიც ეკუთვნის ვახტანგ ცალქა-
ლა მანიძეს.

ეს გვარი თვალადში გადმოსახლებულა წმ. ესტატედან, საღაც
უმისაგან (ჭირი) ხალხი ამოწყვეტილა.

მათი გვარი ყოფილი გადაბრელიძე. ერთხელ მეფეს ჩამოუკლია
იოსებ გადაბრელიძის კარზე და იოსებისათვის დაუძახია, ჩქარა
წამოდი, მტერი კარზე მოგვადგაო. იოსები ამ დროს ქალამანი
აკერებდა თურმე და მეფისათვის მოუხსენებია, ცალი ქალამანი
მაცვია, მეორეს ვაკერებ და როგორ წამოვიდეო. მეფეს უბრძანე-
ბია, ახლავე წამოდიო და იოსებიც ცალი ქალამნით წასულა. ამის
გამო მისთვის უწოდებიათ ცალქალამანიძე.

ცალქალამანიძის ძევლი დარბაზი კლდის ქვით არის ნაგები,
გვირგვინი ჰქონია მაღალი, დარჩენილია მხოლოდ მისი ძირის ნა-
წილი. აქვს ბუხარი, თახები და წალოები. დღემდე დაცულია მი-
სი თავხე და ოთხი დედაბოძი, რომლის თავი ლამაზად არის მოჩუ-
ქურთმებული.

აქაურ მოსახლეობაში, ისტორიულ პირთაგან, პოპულა-
2. ს. მაკალათია

რული არიან გიორგი სააკაძე და მეცე ერეკლე. გადმო-
ცემის გარდა, მათ შესახებ იციან ლექსებიც. აქვე მოვიყენოთ ლექსს
გიორგი სააკაძეზე.

გიორგი სააკაძემა პეტრიაშვილის მისცა პირობა,
გავიდა ბრძოლის ველზედა, გიორგიმ კარგად იომა,
გიორგიმა და პაატამ შექმნეს ლამაზი ფიქრები,
პაატამ უთხრა გიორგის, შენ წადი, მე აქ გიქნები,
აისხა იარაღები, ჯარს გამოუძლვა წინაო,
მივიდა ნოსტის თავშედა, თავის ჯარს მისცა ბინაო;
გიორგიმ სიხარულითა ნოსტეში ჩაირბინაო,
კანეთის შეფეს უბრანა, აქ ჯარი შეიძინაო,
თავისი ჯარი და ცხენი სულ ერთად შეადგინაო,
შეუდგა ნოსტეს აღმართს, დიდი ხმით დაიკივლაო,
რომელსაც ხმალი შემოჰერა, მელავი არ შეარჩინაო,
რომელსაც დაჭრა კისერში, თავი დაუგდო წინაო,
გაწყვიტა პეტრისილები, ერთიც არ დაარჩინაო,
გიორგი დალალულია, დაწვა და დაიძინაო,
გიორგიმ ნახა სიზმარი, შეიღი მისევლოდა შინაო,
უყურე პეტრისის შახსა, რა თავი შეირცხინაო,
პაატას მოსჭრა თავი და გამოუგზავნა შინაო,
მომტანს ფულები აჩუქა, კიდევაც გაიცინაო.

(მოქმედი კოტეონოფრიშვილი, 76 წლისა, სოფ. ოვა-
ლადი, 3 აგვისტო, 1946 წ.)

ეზატი ეს სოფელი მდებარეობს კავთისხევის დასავლეთით.
უწინ ეზატი ეკუთვნილათ ჩივაძეებს, რომლებიც იმერეთიდან (საჩი-
ნოდან) გადმოსულან. მათი წინაპარი ყოფილი პაპუნა ჩივაძე, რომე-
ლიც გ. სააკაძის ერთგული მსახური იყო. გიორგი სააკაძეს მისთ-
ვის ეზატის მამული უჩუქებია. პაპუნა გ. სააკაძეს ხლებია ოსმა-
ლეთშიც და როდესაც სააკაძე და მისი ამაღლი იქ ამოხოცეს, პაპუ-
ნა გამოქცეულა და აქ, ეზატში, დასახლებულა.

ჩივაძეს ეზატში საკუთარი კოშკი ჰქონია, საიდანაც ეს გვარი
შემოსულ ლექებს ებრძოდა. ცხრა ძმა ჩივაძეს ცხრა ძროხად შეუ-
ძენია ერთი თოფი, დაუდგამს ციხეში, უსროლია ლექებისათვის
და ლექები გაქცეულან. კოშკი შემოზღუდული ყოფილი მაღალი
გალავნით. კოშკის საძირკველი და გალავნის ნაშთი ახლაც კარგად
ატყვია. კოშკის ქვედა სართული სალოცავად ყოფილი გამოყენე-
ბული. შემდეგ იგი დაუშლიათ და დავით ჩივაძის თაოსნობით ამ
აღგილზე პატარა ეკლესია აუგიათ.

წინარები მოზრდილი სოფელია კავთურას ხეობაში. აქ მოსახლეობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გაღმოხიზული ქართველები. მებატონე ამ სოფელს არ ჰყოლია; იგი ყოფილა საეკლესიო და კუთვნებია თბილელს (ეპისკოპოსს), რომელსაც სოფელი აძლევდა საბეგრო გაღასახადს.

თავდაპირველად ამ სოფელში დასახლებულა თელათ-გორის ოხერახევიდან მოსული ქეშელაშვილი, რომლის ძეელი გვარი ყოფილა ლომისაშვილი. ოხერახევში ეს გვარი შეუწუხებია „მაცდურს“ (გველებს) და ამის გამო აქ გაღმოხისულიან.

მათვის გვარი გამოუცვლია მეფეს. ლომისაშვილის მამა-პაპა მეფისათვის ღვინოს ეზიდებოდა. ერთხელ მათ წინაპარს მეფის სუფრაზე რუმბით ღვინო სდგმია და ეს რუმბი სულ დაუცლია. მეფეს გაპევირვებია და უთქვამს: შენ „ქეშო“ (რუმბი) გაქვს მუცელ-შიო. ამის გამო დაურქმევიათ ქეშელაშვილი.

წინარებში დაცულია რამდენიმე ეკლესია-სამლოცველო: წმ. თევდორე, ჯვარპატიოსანი, ღვთისმშობელი, წმ. სტეფანე, ჩადრის ეკლესია და მუნის საყდარი.

თევდორეს ეკლესია მოთავსებულია სოფლის თავში. ნაგებია ქვითკირით და პატარა ზომისაა. აქ სალოცავად მოდიოდა, ვისაც რაიმე შესაწირი ჰქონდა შეთქმული. ლოცულობდნენ საქონლის გამრავლებისათვის.

ჩადრისთავის საყდარი ამჟამად წარმოადგენს ნანგრევს. იგი მოთავსებულია წინარების სამხრეთ-დასავლეთით. ჩადრი ყოფილა მეცხვარე, მეტად კეთილი, სათნო და „მაღლიანი“ ადამიანი. იგი აქ დაუსაფლავებიათ და მის სახელზე ეს პატარა საყდარიც აუგიათო. გაღმოგვცემენ, როდესაც გვალვა დადგებოდა, მის სახელს ახსენებდნენ, აქვე მოდიოდნენ და საფლავიდან ჩადრის თავის ქალას ამოიღებდნენ. თავის ქალას წყალს ასხურებდნენ და შესთხოვდნენ მას ავდარს. შემდეგ თავის ქალას ისევე ჩაასვენებდნენ. ხალხური თქმულებით, ჩადრი ამ მიღამოში ცხვარს აძოვებდა, ძლიერ ცხელოდა და უნატრია: ღმერთო, ჩრდილი მომეციო და მიწაში ჯოხი ჩაუსვამს. ეს ჯოხი ხედ ქცეულია (მუხად) და ჩრდილიც ჰქონია. მერე უნატრია წყალი და წყაროც გაღმოსულა. ამ პატარა ეკლესიის მახლობლად არის ნასახლარი ადგილიც.

ჩადრის საყდრის მახლობლად არის ე. წ. მუნის საყდარი, რომელიც ახლა ნანგრევია. აქ მოდიოდნენ მუნით დაავადებულები, მოჰყავდათ წითელი მამლები და განკურნებას შესთხოვდნენ.

იქვე მუჭით მიწას იღებდნენ, ტანჩე ისეამდნენ რომ განკურნებული-
ყვნენ.

სოფლის შუა ადგილას ყოფილა კოშკი თავისი გალავნით.
კოშკები მოუშენებიათ პატარა ეკლესია „ღვთისმშობელი“. შემდეგ
ეს ეკლესია გაუფართოებიათ და კოშკიც გადაუკეთებიათ. ახლა
კოშკი და ეკლესია გაერთიანებულია და ერთ შენობას წარმოად-
გენს, შიგნით შელესილია და შეთეთრებული, გარედან მაინც აშ-
კარად ეტყობა ცალ-ცალკე კედელი. ეკლესის კედლებში ჩატანე-
ბულია ორი ქვაფიქალი ასომთავრული წარწერით. ერთი წარწერა
ამოკრილია რუხი ფერის გრძელ ქვაზე და ჩაშენებულია აღმოსავ-
ლეთის კედელში. წარწერა იკითხება ოთხი სტრიქონი მთავრულით:

„სახელითად ღმრთისადთა და მეოხებითა წმიდისად სიონისა ღმრ-
თისმშობელისათად, ლირს ვიქმენ მე ცოდვილი ტფილელ მთავარების-
კობოზი ბარნაბა ფავნელისშვილია აღშენებად წმიდისად ამის ეკლესიი-
სა, სალოცველად და სადიდებლად მეფეთ მეფისა სკმეონისათვს და
სალხინებელად ცოდვილისა სულისა ჩემისათვს. ქორონიქონს სოვ
დასაბამითგან კოზ“.

ქორონიქონი სოვ (276 წ.)=1588 წ. წარწერაში მოხსენებულია
მეფე სვიმონ I, რომელიც მეფობდა 1558 — 1600 წ.წ.

შემორე წარწერა მუქ ცისფერ ქვაზეა და ჩაშენებულია აღმო-
სავლეთის კედელში, კარებს ზევით, დაზიანებულია და ძნელად
იკითხება.

„ქ. სახელითა ღმრთისათა მე, თფილელმან ისე დავხატე საყ-
დარი ესე და აღვაშენე დასა[თმობა]დ რჯულ (sic) სამეროები
სა[ყდრისა], დავხატე და აქ წმიდის სტეფანესსასახლე. შენდო-
ბა ყავთ ჩემ [და] სამარხი ამისთვის“.

ამ წარწერას თარიღი არ უზის, პირველთან შედარებით ენო-
ბრივად გაუმართავია და უნდა იყოს უფრო გვიანი დროისა.

ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ წინარეხის ძველი ეკლესია
„ღვთისმშობელი“ და „წმ. სტეფანე“ განუახლებიათ. პირველი გა-
ნუახლებია ბარნაბა ფავნელისშვილს თბილელ ეპისკოპოსს 1587
წელს, ხოლო წმ. სტეფანე კი აუშენებია და მოუხატვინებია იესე
თბილელს მე-17 საუკუნის შუა წლებში¹.

¹ ლეონ მელიქ ქვეთ-ბეგი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთურას
ხეობაში 1923 წელს: თბილ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. მე-5, თბ. 1-25 წ.,
გვ. 131-133; ვახტ. ბერიძე, წინარები-გომიჯვარი-სასხლო: საქარ. სსრ მეც.
აკადემიის მოამბე, ტ. 4, № 6, თბ. 1943 წ. გვ. 606—607.

ორივე ექლესია. შედიოდა მათ სამწყსოში და თბილელ ეპისკოპოსის კოპოსს ყოველწლიურად აძლევდნენ კულუხს (გადასახადს).

აქვეა კვადრატული ფორმის გადაკეთებული ძეველი კოშეი, რომელიც ოდესაც სამსართულიანი ყოფილა, ახლა კი მისგან დარჩენილია ორი სათოფურებიანი სართული. შიგ არის თიხის წვრილი შილები წყალსადენისა, დანგრეული სათონე, ქვევრები და სხვ.

დასავლეთის მხრით ციხეს მიშენებული ჰქონია თბილელის მარანი, სადაც გროვდებოდა კულუხი (გადასახადი ღვინო). ციხე გარშემოვლებული ყოფილა ქვითკირის გალავნით, რომლის კვალი ახლაც კარგად ჩანს.

წინარეხს თავს ესხმოდნენ დაღესტნელი ყაჩაღები და მოსახლეობაც იხიზნებოდა სოფლის ამ ციხე-გალავანში და ებრძოდა მათ, რომ თავი დაეღწია ტყვეობისაგან. მათთან ბრძოლაში თავი უსახელებიათ მამუქა და იასე ქეშელაშვილებს.


წინარეხიდან სამი კილომეტრის დაშორებით, სამხრეთით, არის მაღალანთ ექლესია და კოშები; ისინი მდებარეობენ მდ. კავთურის მარცხენა მხარეს, გორაკის ფერდობზე, წინარეხიდან ქვათახვისაკენ შიმავალი გზის პირას. როგორც ითქვა, მაღალაძეები დაწინაურდნენ მე-15 ს-დან. მაღალაძეთა გვარს ეჭირა საპატიო აღგილი—სვეტიცხოვლის ქადაგის თანამდებობა და ერთგული სამსახურისათვის მიუღიათ ამ თანამდებობისათვის მიკუთვნილი მამულები წინარეხში, რომელიც მათი რეზიდენცია გამხდარა. მე-17 საუკუნეში დაწინაურებულ ამ გვარის მეთაურ პაპუა ნიკოლოზ ქადაგის ძეს დიდი მშენებლობა ჩაუტარებია წინარეხის მამულებში და თავისი რეზიდენცია ფეოდალური ტიპის სასახლედ გადაუქცევია.

პაპუა მაღალაძეს თავის რეზიდენციაში, მაღლობ ადგილას, პირველად აუშენებია კოშკი და სასახლე. კოშკი ოთხსართულიანია, ქვითკირით ნაგები, მხოლოდ მისი ზემო სართული, თაღიანი გვირგვინი, დაშენებულია აგურით. იგი კვადრატული ფორმისაა, მის სართულებში დატანებულია ბუხრები, ნიშები და სათოფურები.

სართულების ჭერი და იატაკი ჩაქცეულია; მეოთხე სართულს-და შერჩენია კამაროვანი ჭერი და ამის გამო კოშკში წვიმა არ ჩამდის. კოშკის სიმაღლე აღწევს 15 მეტრამდე. კოშკის გარე კედელში ჩატანებულია ბარელიეფიანი ქვები და ერთიც წარწერიანი ქვა-ფიქალი.

ჩრდილოეთის კედლის მეორე სართულში ჩატანებულია ცისფერი ქვაფიქალი, რომელზედაც ამოკვეთილია ჭმ. გიორგი გველეშაბის

გამგმირავი (ჩვეულებრივ პოზაში). ჩრდილო-აღმოსავლეთის ფასადზე, მესამე სართულზე შემონახულია ცისფერი ქვაფიქალი, რომელზედაც ამოჭრილია მხედრული ხელით სამშენებლო წარწერა:



სურ. 3. მაღალაანთ კოშკი

1. ქ. აღამს: აქეთ: შეიძი
 2. ათას: ას ოთხმოცდა: ათსა
 3. ქქს ტნიზ: მეფე გიორგისა:ა
 4. ღვაშენე: ციხე:სახლის:ხუცესმა
 5. ბაბუამა: და: ძემა ჩემა ნიკოლოზ.
- ქორონიკონი ტნიზ (367) = 1679 წ.
- აქედან ირკვევა, რომ კოშკი პაპუას აუშენებია მე-17 საუკუნის

დასასრულს. კოშკის აღმოსავლეთის ფასადზე ჩატანებულ ვარდის-ფერ ქვაზე ამოკვეთილია წმ. გიორგის ბარელიეფი, რომელიც შედარებით ლამაზად არის შესრულებული. შუბოსანი წმ. გიორგი შემჯდარია ყალყზე მდგარ ცხენზე და შუბსა სცემს დაკლაკნილ ვეზაპს. სამხრეთის ფასადზე ჩასმულია მუქი ნაცრისფერი ქვაფიქალი მესამე სართულის თავზე. ამ ქვაზე ამოკვეთილია სამი ცხოველი: ირემი, რომლისათვის თათი წამოუკლია ვეფხვს. ვეფხვის ზემოთ მოთავსებულია პირდაღრენილი ცხოველი (უნდა იყოს ლომი).

მაღალაძის ამ კოშკის კონსტრუქციაში ყურადღებას იქცევს მისი მეოთხე სართული, რომელსაც საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა. მას გარშემო აქვს ლამაზად დაქბილული თაღიანი სათოფურები, რაც ახასიათებს დასავლეთ-საქართველოს ცახე-კოშკებს, განსაკუთრებით სვანურსა და რაჭულ თავდაცვით ნაგებობებს.

მაღალაძანთ კოშკის თაღიანი სათოფურები დაშენებულია ქართული აგურით. ეს გარემოება შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ მაღალაძემ წინარეხის კოშკი შეაკეთა და ზედა საომარი სართული დააშენა სვანური ტიპის დაკბილულთაღიანი სათოფურებით.

კოშკის გარშემო ნაგებობათა ნანგრევებია, ზოგი ნანგრევის საძირკველი საქმაოდ ფართოა. ეტყობა, კოშკთან მაღალაძეებს ჰქონდათ სასახლე, რომლის შესახებ პაპუა მაღალაძე თავის ანდერში ამბობს: „ავაგე ორგან სასახლე ისეთი, რომე უკეთესი ჩემს ტოლ კაცს არავისა ჰქონდა, ქვევრითა, მარანითა, ბაღბოსტანითა, შესავლითა და გამოსავლითა“. ეს კოშკი და სასახლე თავისი სათავსოებით შემოზღუდული ყოფილა გალავნით, რომლის ნაკალევი ახლაც კარგად მოჩანს.

ამ ფეოდალურ ანსამბლს უნდა ჰქონოდა კარის ეკლესია და საძვალე (აკლდამა). პაპუას ამაზედაც უზრუნია; აღუდგენია და განუხალებია თავის სახლ-კოშკთან მდებარე ე. წ. ბეთლე მის საყდარი და სამრეკლო. ეკლესია ნაგებია ქვითკირით, ერთნავიანია (უგუმბათო), სამხრეთით მიშენებული აქვს სტოა. აღმოსავლეთის ფასადი შემცულია ჩუქურთმიანი არშიით. აქვს ორი წარწერა მხედრულად. ზემოთ აწერია:

„ქ. მე მონამან [ლო]სამნ ნიკოლაოზ ქადაგმან მაღალაძემ: ვიწყე: შენებად: მეორედ წმიდისა ამის ტაძრისა: ყოვლად წმიდისა დიდებულისა, დედის ჩემის: ელენეს: შესანდობლად: და მამის ჩემის მოსახსენებლად: ქვსა ტნიე: ივლისსა გ“.

ამ წარწერით ირკვევა, რომ პაპუას ბეთლემის ტაძარი განუახლებია 1677 წელს.¹

ქვემოთ აწერია: „დამბადებელო, შეიწყალე ნიკოლოზ მაღალაძეს დედა ელენე და მამა პაპუა, ქორონიკონსა ტნიზ= (1679).“.

დასავლეთის ფასადი შემკულია ჩუქურთმებით, ფანჯრის თავზე გამოსახულია ორფასკუნჯიანი ჯვარი.

ეკლესია შიგ მოხატული ყოფილა; ფრესკები მერთალად მოჩანს.

ბეთლემის ეს ტაძარი, რომელიც ახლა ცნობილია შალალაანთ ეკლესიად, აშენებულია მე-12—13 სს. მიჯნაზე.² მე-17 საუკუნეში ნიკოლოზ მაღალაძეს იგი მხრილოდ განუახლებია.

ბეთლემის ეკლესია ლეკიანობის გამო გაპარტახებული ყოფილა. მე-19 საუკუნეში აქ დაუსადგურებიათ რუს ბერებს, რომელსაც განუახლებიათ იგი და ამის გამო მონასტერი უწოდებიათ.

ეკლესის ეზოში დგას კოშკისებრი ოთხხუთხედი ორსართულიანი შენობა. ეს არის პაპუა მაღალაძის სამრეკლო-სამლოცველო. შენობა, როგორც პაპუას ანდერძიდან ჩანს, ჭინათ წარმოადგენდა სამრეკლოს, რომელიც მას ორსართულიან „საყდრად“ გადაუკეთებია. მისი ქვედა სართული წარმოადგენს პატარა ოთახს, რომელსაც უწოდებენ „მაცხოვარს“, სადაც დგას პატარა ტრაპეზი. მას შესასვლელი კარი აქვს დასავლეთით. ეს სართული მთლიანად მოხატულია, მის ცაზე გამოსახულია მაცხოვარი, კედლებზე წმიდანები და სკუნები საღვთო წერილიდან. დასავლეთის მხარეზე, კარს ზემოთ, შიგნით დახატულია მაღალაძეების მთელი ოჯახი. სამწუხაროდ, ფრესკის ნაწილი ჩამოცენილია, მისგან დარჩენილია სამი ფიგურა და ისიც თვალებდათხრილია უგუნური ადამიანის ხელით. ჭინათ, გასული საუკუნის 60-იან წლებში, მაღალაძეთა ოჯახის ფრესკა კარგად იყო დაცული; იგი ოლწერილი აქვს პლატონ იოსე ლიანს და გაღმოხატული მხატვარ გაგრინს.

ერთი ჯგუფი დახატული იყო კარის მარჯვენა მხარეზე მთელი ტანით, მეორე კი — კარის მარცხნივ, სახელების ზედ წარწერით:

აღამი
ზურაბი

¹ ლეონ მელიქ სეთ-ბეგი, არქეოლ. მოგზაურობა კავთურას ხეობაში: თბ., უნივერ. მოამბე, ტ. 5, 1925 წ., გვ. 137; ვახტანგ ბერიძე, ჭინარგველ მაღალაძეთა მშენებლობა მე-16-18 ს-ებში, გვ. 199.

². ვახტანგ ბერიძე, მაღალაანთ ეკლესია: ქართული ხელოვნება, ტ. 5, თბ., 1959, გვ. 205-220.

შამუქა

პაატა

რევაზი

ნიკოლოზი, რომელიც მაოს წინა დგას ხელგაპყრობილი და სამღვდელო ტანსაცმელი აცვია. პირისპირ მეორე მხარეზე დგანან: პაპუა სახლთუხუცესი, რომელსაც ხელში ყავარჯენი უჭირავს,

გიორგი

სოლომონი

ელენე

ხეარაშანი.

მაღალაძეების პორტრეტულ მხატვრობაში თითქმის სრულად არის გადმოცემული მე-17 საუკუნისათვის დამახასიათებელი მორთულობა და ტანთჩაცმულობა¹.

ამ სამღლოცველოს ზემო სართული გათეთრებულია, მას აქვს ასას-ვლელი ქვის კიბე. ეს ზემო სართული გადაკეთებული და ამოშენებულია, წარსულში კი უნდა ყოფილიყო ღიათაღებიანი სამრეკლო.

ეკლესია შემოზღუდულია ქვის გალავნით, ძველად ეს გალავანი უფრო მაღალი ყოფილა. გალავანს აქვს ერთი კოშკოვანი ალაყაფის კარი, რომელსაც უწოდებენ „გალაჯულს“. კოშკი ორსართულიანია, ქვემო სართულს აქვს ისრულთაღიანი კარი, ზემოთ კი, კოშკოვანი ოთახია, სათოფურებით გამართული. მას წინათ მესამე სართულიც ჰქონია—სამრეკლოთი, რომელიც 1716 წელს აუშენებია ნიკოლოზის ძმის, რევაზ სახლთუხუცესის შეილს, სოლომონს.

ჭიშკრის გარეთა თაღის ზემოთ, საგანგებოდ გათლილ ქვაზე, მხედრული ხელით ამოჭრილია სოლომონ მაღალაძის წარწერა:

1. ქ: სასოო: შესავედრებელო და შემწეო ჩემო: ყდ: წო დედოფ
2. ალო: ღთის: მშობელო: ცათა: უვრცევლესო (sic): დედაო: ნათლისაო: რომელმან:

3. ღირს მყავ: შეგონებად: მსახურებისა: ტაძრისა: შენისა: ეპა: შენ

4. საშინელო: და შესაძრწუნებელო: ტაძარო: ღთისა: ღიდებისაო:

5. მე: ფდ: ცოდვათა: ჩემთა: მიერ: საარებული: ნ: შეწევნისა: მო

¹ ამ ფრესკის რეპროდუქცია დაბეჭდილია საქარ. ისტორიის სახელმძღვანელოში, თბ. 1943 წ. გვ. 317; დართული აქვს პაპუა მაღალაძის ანდერძსაც (იხ. საქარ. მუნიციპალიტეტი, ტ., IX—ტაბ. I V).

6. ქენე: მალალაძე: მდიგარ: მწიგნობარ: მგალობელ: სოლომონ
7. გიმკობ: და: ალვაშენებ: სამრეკლოსა: ამას: ქეს: უდ.= (1716 წ.).

იქვე, გალავნის კართან, გალავანშივე, დატანებულია თიხის მილი, რომლის შესახებ არსებობს ასეთი თქმულება: თრიალეთის ქედიდან, ქსილისის მთიდან ამ გალავნამდე მილი იყო ჩატანებული და გალავანში შეხიზულებს, მტრის გარემოცვის შემთხვევაში, მწყემსები რძეს აწვდიდნენ. ეს რძე „მცურავს“ (გველს) მოუშხამავს და მთელი სოფელიც ამოწყვეტილა. გადარჩენილა ერთი, აქედან გახიზნული მალალაძე.

აღმოსავლეთის მხარეზე გალავანში ჩაშენებულია თავმორლვეული, კვადრატული ფორმის, ქვით ნაგები კოშკი, რომლისაგან დარჩენილია სარქმლებიანი და სათოფურებიანი ორი სართული.

ეკლესიის ეზოდან გვირაბი გადიოდა კავთურამდე, საიდანაც წყალი ამოპქონდათ თურმე ეკლესიაში. ეკლესიის აღმოსავლეთით, გალავნთან, ძევს საფლავის ლოდი, მასზე რელიეფურად გამოსახულია მხედარი, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს აღვირი, მარცხენა — ხმალზე უდევს. მხედარს თავზე ჰქონდა მაღალი ქუდი, თავთან გამოსახულია კულა, მარცხენა ბეჭთან, ხელს უკან, მრგვალი რიანი სასმისი (აზარფეშა). აქეს მხედრული წარწერა, რომელიც უამთა ვითარებისაგან წაშლილია და ახლა გარდა რამდენიმე ასოსი, არ იკითხება.

საფლავის ეს ლოდი მოხსენებული აქეს პლ. იოსე ლიანს. იგი თავის აღწერაში ამბობს, რომ ეკლესიის აღმოსავლეთით არის საყურადღებო საფლავის ლოდი მაღალაძეთა მსახურისა დათუნასი (დავითი). ლოდზე ამოკვეთილია პორტრეტი თვით მსახურისა, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს კულა, მარცხენაში კი აზარფეშა — მისი წოდებულების ემბლემა ფერდალის სასახლეში.

365 ქორონიკონიდან ჩანს, რომ იგი გარდაცვლილია 1675 წელს. (უნდა იყოს 1677 წ.).

ქორონიკონი და წარწერა დღეს წაშლილია და საშუალება არა გვაქვს ეს ცნობა შეკამოწმოთ.

ერთი სიტყვით, მაღალაძებს წინარებში ჰქონიათ თავიანთი სასახლე, ციხე და კარის ეკლესია. აქვე იყო საგარეულო საძგალეც. მათ დიდძალი მამულები ჰქონდათ ქართლის სხვა სოფლებშიც, რასაც მოწმობს მრავალი საბუთი. ვახუშტის სიტყვით, ძველ საქართველოში აზნაურს უნდა ჰქონდა გვარი და ჩამომავლობა და „სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა და დაბნებნი“. ამასთანავე,



სურ. 4. საფლავის ლოდი დათუნასი

შეძლებულ აზნაურს უნდა ლაშქარიც გამოეყვანა. ეპოქის ამ მოთხოვნას მეფე-დიდებულების წინაშე მაღალაძეთა გვარი, ეტყობა, პირნათლად ასრულებდა და ეს გვარიც ძლიერ აზნაურთა ჯგუფს მიეკუთვნებოდა.

შალალაანთ ეკლესიის აღმოსავლეთით, კავთურას გაღმა, ტყე
ში არის ეკლესია ე.წ. „ჯვარ-პატიოსანი“. ეკლესია კლდის ქვითაა
ნაგები და ერთნავიანია. იგი მოხატულიც ყოფილა; მხატვრობა
შერჩენილია საკურთხეველის სარქმლის ჩარჩოზე. აღმოსავლეთის
ფასადზე, სარქმლის თავზე, ცისფერ ქვაფიქალზე გამოსახულია სამი
ჯვარი. შიგ ეკლესიაში ძყულია სვეტისთავი, რუხი ფერის ქვისაგან
გაკეთებული, რომელზედაც ამოქრილია სხვადასხვა სახეები: ჩიტე-
ბი, მცენარის ტოტები, ადამიანის პირისახე, ჯვრები და სხვ.

შალალაანთ ეკლესია-კოშკებიდან გზა მიდის ქვათახევში, რო-
მელიც აქედან დაშორებულია 6—7 კილომეტრით. ამ გზაზე, ქვა-
თახევის მიმართულებით, მარჯვნივ, დაახლოებით სამი კილომეტ-
რის დაშორებით მალალაანთ ეკლესიიდან, ერთ გორაქზე მოთავსე-
ბულია ძველი ეკლესია ე.წ. დედა ღვთისა. ეკლესია პატა-
რაა, კლდის ქვით ნაგები, ნახევრად დაშლილი; იგი დაფარულია
ტყით. აქ ესვენა ძუძუს ხატი, რომელიც წარმოადგენს ქვი-
საგან ლამაზად გამოქანდაკებულ ქალის ძუძუებს. ძუძუს ეს ქვა ვიღაც
ბერს აქედან გადაუტანია ქვათახევის მონასტერში და დღესაც იქ
ინახება. ძუძუს ხატის სიმაღლე 22 სანტ., განი—25 სანტ.

მლოცველი მოდიოდა დედა ღვთისაში და შესთხოვდა მას
რძეს. დედას თუ ძუძუს რძე არ ჰქონდა, ან გაუშრებოდა იგი, მი-
დიოდა დედა ღვთისასთან, აუნთებდა სანთლებს, მიუტანდა შესაწი-
რავს და მას შესთხოვდა რძის მოცემას. ძროხას თუ გაუშრებოდა
რძე, მაშინაც აქ მოდიოდნენ და სთხოვდნენ რძის მოცემას. ამისა-
თვის მლოცველი ამ ძუძუს ქვას გაბანდა, ნაბან წყალს უხმარ
ჭურჭელში ჩასხამდა და რძეგამშრალს შეასმევდა.

აქედან გზა ჩადის ქვათახევის მიმართულებით კავთურაში, სა-
დაც დაცულია ძველი ნახიდარის ბურჯები. ეტყობა, ხიდი მალალ-
თალიანი ყოფილია. ამ ხიდიდან გზა უხვევს ქვათახევისაკენ, აქვეა
ნაკირალის წყარო (ეძახიან მკვდრის ხევს). გადმოცემით, ამაზე
გავლა არ შეეძლო დედათა სქესს, —არც ადამიანს და არც საქო-
ნელს (ფურქამეჩს, ძროხას, ჭავ ცხენს და სხვ.). მათ ამ პატარა
ხევზე გადასვლას უკრძალავდა ქვათახევის ღვთისმშობელი. გად-
მოსვლა შეეძლოთ მხოლოდ ქალწულებს. ვინც ამას დაარღვევდა,
მას ღვთისმშობელი დაამიზეზებდათ.

ლამაზია ქვათახევის მიდამო. აქაფებული კავთურას ტალღები
აქ ებრძვის უზარმაზარ ლოდებს, რომლებითაც ჩახერგილია მისი
ვიწრო კალაპოტი.

ქვეათახევის მონასტერი აგებულია დავაკებაზე, კავთურას ნაპირას. მონასტერი დაფარულია ტყით, იქ ბევრია კაკლის ხეებიც.



სურ. 5. ძუძუს ხატი (ქვა)

მას აქვს მაღალი გალავანი და ერთი შესასვლელი კარი სამხრეთით. ეკლესია აგებულია ღვთისმშობლის მიძინების სახელზე; იგი აღდგენილია და განახლებული; მისი გუმბათის თავი რუსულ ყაიდაზეა განახლებული. მისი ძველი ჩუქურთმიანი ნაწილები თავთავის ადგილზეა შერჩენილი. წარწერებით იგი ღარიბია. კარიბჭეზე აწერია ხუცური ასომთავრულით: „არა არს სხოა ესე, გარნა სახლი ღვთისა და ესე ბჭე ზეცისა“ (ახალ ღროის წარწერაა, ციტატი სახარებიდან არის). თავისი დეკორატიული მორთულობით საყურადღებოა ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი, რომელსაც ახასიათებს მაღალხელოვნებით შესრულებული ჩუქურთმიანი ჯვარი და როზეტები. ამ მხრივ იგი წააგავს სამთავისის ტაძრს. ტაძრის ჩრდილოეთის ფასადი მთლად რესტავრირებულია. ძველი ჩუქურთმიანი

ორნამეტები შერჩენილია სარქმლების საპირეებში. ტაძრის გუმბათიც შემცულია ლამაზი, ჩუქურთმიანი არშიებით.

ქვათახევის მონასტერი (ეკლესია) თავისი არქიტექტურული ფორმებითა და ჩუქურთმებით მიეკუთვნება მე-12-13 საუკუნეთა მიჯნას. ეკლესია შიგნით შეთეთრებულია, მისი კანკელი და ხატები რუსულია, ფაბრიკული. ეკლესიაში არავითარი სიძველე არ მოიპოვება. სამხრეთის კედელში ჩასმულია მარმარილოს ფიქალი, რომელზედაც ამოკვეთილია თარხან-მოურავიანთა ღერბი¹.

აქვს ასეთი წარწერა: „წინამდებარესა მას სახსოვარსა ლოდის ქუშებე განისულენებს მტრური ღირსაღ სახსოვრისა წის ამის ტაძრის განმახლებელისა ღვარდის პოლკოვნიკის ბრწყინვულის თავადის ითანა ლუარსაბისძის თარხან-მოურავისა, ხოლო დედით საქართველოს მეფის 13-ის გიორგის ასულის სოჭიახსა, რომელი აღესრულა სამსახურსა შა როსის იმპერიისას ვერნ ქალაქსა ფიჭლანდიას ლუბერნისას. 14 დეკემბერს 1855 წელსა და მუნიც მოხმული დაეფლა აქა 56 —ის წლისას სარწმუნომან მეგობარმან მისმან მამამან ამის საგანისამან ალუმართა ძეგლი ესე ნიშნად მადლობისა ქველის მოქმედებისა მისისა წილ“.

ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან არის საფლავის სადა ლოდი ქვათახევის მონასტრის განმახლებლის არქიმანდრიტის ტარასისა. მას აწერია: „ლოდი ესე ფარავს მტვერსა არხიმანდრიტისა ტარასისა, რომელი გარდაიცვალა ჩყოდ-სა წელსა მაისის ბ-სა დღესა მეონე შობიდან პას წლისა“. იქვე კედელში ჩასმულია მარმარილოს ფიქალი, რომელიც ტარასის მოღვაწეობას გაღმოვცემს: „მოიხსენე უფალო მონა შენი არხიმანდრიტი ტარასი. ამან დაუცხომელმან მშრომელმან ცნობილმან მადლითა მონოზონობითა მოღვაწეობითა მკაცრითა ზნეობითა კრძალულობითა განვლო რა მონაზონობასა შინა 66 წელ, განსრულდა 1874-სა წ. მაისის 2-სა შობიდან 81-სა წლისამან დიდშვენიერი განახლება ქვათახევის მონასტრისა შინაგანი მორთულება მისი და სიმრავლე გარემო მისა მიუცილებლათ ახალთა შენობათა არს ნაყოფი ტარასის წინამდღვრობისა მას მონასტერისა შინა 1854-1874 წ.“

შიგ ეკლესიის ეზოში, დასავლეთით, ტაძრის უკან, დგას ლამა-

¹ ღერბის ჩარჩო გაყოფილია ორად, პირველში გამოსახულია ეკლესია (მონასტერი), მეორეში კი ადამიანის სახის პროფილი, ქვეშ ციხე-გალავანის კადელი. ჩარჩოს ქვეშ ჩამოყიდებულია ხმალი ოთხი ჯვრითა და ერთი მედლით.

ზი ქვითკირის სამრეკლო, ქვაფიქალით გადახურული. გარშემო აქვს ხუთი ქვის სეეტი. სამრეკლო მე-19 საუკუნისაა.

ეზოშივეა ბერების ნაბინავარი ოთახები და სადგომები. აქვე, აღმოსავლეთის მხარეზე, მოჩანს ორმო, საიდანაც გვირაბი გადიოდა თურმე შატბერაანთ ციხეში, რომელიც ეკლესიის გადაღმა დგას, ტყიან გორაკზე. მონასტრის გარემოცვის დროს გვირაბით ამ ციხე-ში ინიზნებოდნენ.

ტაძრის დასავლეთით, გალავნის კედელში, დაცულია ძველი ნაგებობის ნანგრევი, დარჩენილია მისი უკანა კედელი, იგი თაღიანია. ეს პურის საცხობი ყოფილა.

მონასტერი შემოზღუდულია მაღალი გალავნით, აქვს სამი შესასვლელი კარი. გალავანი ყოფილა კოშკოვანი და ეს ციხე-გალავანი ემსახურებოდა მონასტრის თავდაცვის საქმეს. გალავნის ჭიშკარს ჰქონია ორი საგუშაგო კოშკი, ორივე კოშკი მოთხებად გადაუქეთებიათ. ერთი კოშკის ქვედა სართული დაცულია, მასზე დაუშენებიათ აგურნარევი სართული, რომელშიაც ბიბლიოთეკა ყოფილა მოთავსებული.

ამ ქვედა სართულის დასავლეთის კედელში ჩაშენებულია მოთეთრო ქვაფიქალი ასომთავრული წარწერით: „ქრისტე შეიწყალე ცოდვილი ავალიშვილი ივანე აღმშენებელი ამის“. ეს იგივე იოანე ავალიშვილია, რომელიც 1604 წლიდან ქვათახევის მონასტრის წინამდღვარი იყო. იგი ამასთანავე ცნობილი კალიგრაფი და მხატვარია, მას ეკუთვნის 1600 წელს გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“¹.

მონასტრის გალავანზე მიშენებული ყოფილა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი: ბინები, სათონე, მარანი და სხვ... მონასტრის მახლობლად ერთი ძველი კოშკია, რომელსაც უწოდებენ შატბერაანთ კოშკს. კოშკი ქვითკირისაა, უნდა ყოფილიყო სამსართულიანი, დარჩენილია მისი ორი სართული, რომელსაც აქვს სათოფურები: სარკმლები და თახები.

კოშკის გარშემო ნასახლარებია, ეტყობა, აქ უნდა ყოფილიყო სოფელი, რომელიც თავს აფარებდა ამ კოშკს.

ქვათახეობა იცოდნენ აგვისტოში და მას ეტანებოდა დიღმალი მლოცველი ქართლ-ახეთის სხვადასხვა მხრიდან. მოჰყავდათ საკლავი, მოჰქონდათ საწირი, ღამეს უთევდნენ და ასრულებდნენ

¹ ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, თბ. 1924 წ., გვ. 156; თ. ჟორანია, ქრონიკები, II, გვ. 438; საქართველოს სიცემები, III, გვ. 534.

სხვადასხვა რიტუალს. ქვათახევს ბევრი მამულიც ჰქონია კავთის-ხევში — „საბერო“, იდლეთი და სხვ.. მას შემოსდიოდა ბევრი ლვინო, პური და სხვა ჭირნახული.

ქვათახევის მონასტერი თავდაპირველად დედათა მონასტერი ყოფილა, მაგრამ; როგორც მემატიანე მოგვითხრობს, იგი 1400 წელს გაანადგურა თემურ-ლენგმა, მონაზენები ამოხოცა და ამის შემდეგ მამათა მონასტრად გადაკეთდა. ამ დროიდან არც ერთ ძალთაგანს მონასტერში შესვლა არ შეეძლო. ამასთანავე, წიმებულ დედათა პატივსაცემად, წესად ყოფილა შემოლებული ფეხგახდილი შესვლა ეკლესიაში. ამ წესს ემორჩილებოდნენ, პლ. იოსევლიანის სიტყვით, თურქი და სპარსი მმართველებიც კი საქართველოში, მონასტრის მეთაური იყო არქიმანდრიტი და ქვათახევის არქიმანდრიტს საპატიო ადგილი ეჭირა სამღვდელოთა შორის.

ქვათახევის მონასტერში დაიწერა ჯვარი ლუარსაბ მეფემ გ. სააკაძის დაზე. იოსებ თბილელი თავის „დიღმოურავიანში“ მოგვითხრობს:

„მეფე ქვათახევს მობრძანდა, ნოსტილამ ახლო არია,
ჩემი დაც თან წაიყუანა, დღე ჰქონდა გასახარია;
წინ მოეგდა მასარით ნასიძე წინამძღვარია,
და მან თქვა: ქვათახევს ქორწილი მეფეთა გასაქმარია“¹.

ქვათახევის მონასტერმა, რომელსაც მეფე-დიღებულების უხვი შემოწირულების წყალობით მდიდარი საგანძურო ჰქონდა, სეიმონ მეფის თურქეთის ტყვეობისაგან დასახსნელად 1601 წ. დიდალი ოქრო და ვერცხლი გაიღო.

ამასთანავე, ქვათახევის მონასტერი წარმოადგენდა ამ ხეობის კულტურის ცენტრს, აქ გაჩაღებული იყო მწიგნობრობა, აქაური სამონასტრო სკოლა ხელს უწყობდა სწავლისა და წერა-კითხვის-მცოდნეობის გაფრცელებას.

მონასტერს ჰქონდა მდიდარი წიგნთსაცავი, სადაც ინახებოდა მრავალი საისტორიო ხასიათის თხზულება და სიგელ-გუჯრები.

მაგრამ მე-17 — 18 საუკუნეებში, ლეკიანობის გამო, ყველაფერი განადგურდა და მე-19 საუკუნის დამდეგის ქვათახევის მონასტერი წარმოადგენდა ნანგრევს. მისი აღდგენა და განახლება დაიწყო 1826 წლიდან. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ტარასი არქიმანდრიტს, ერისკაცობაში ტარასი სოლომონის ძე ალექსი-მესხი-

¹ იოსებ ტფილელი, დიღმოურავიანი, თბ., 1939 წ., გვ. 18.

შეილს. იგი იყო მე-19 საუკუნის შუა ხანების მოღვაწე, აკადემიკოსი. ბრძოსეს და პლ. იოსელიანის კორესპონდენტი. მონასტრის განახლებასთან ერთად, მან აქ დაარსა ცნობილი სამონასტრო სკოლა, სადაც მისი ხელმძღვანელობით ითარგმნა მრავალი წიგნი სლავურიდან ქართულ ენაზე. ტარასი ავტორია აგრეთვე ხუცური და მხედრული ქართული ანბანისა, რომელიც ერთ დროს სახელმძღვანელოდ იყო მიღებული და ითვლებოდა ქართული წერის სანიმუშო დედნად.

თავკავთა ქვათახევიდან 7—8 კილომეტრით არის დაშორებული. მისი მაღალი ქედი ტყითაა დაფარული; ხევი ღრმაა და მის სიღრმეში კავთურა ძლივს მოჩანს. ქედზე გადასასვლელად წინათ ხიდი ყოფილა გადაბული კავთურაზე; ნახიდარის ბურჯები დღემდე დაცულია. ეტყობა, ხიდი მაღალთაღიანი ყოფილა.

თავკავთაზე ძნელი ასასვლელია. ამ მაღალ ქედზე აგებულია თავკავთას წმ. გორგასის ეკლესია და დიდი ციხე-გალავანი. ეკლესია ერთ დროს დანგრეულა, მაგრამ აღუდგენიათ; შეკეთებულია ქართული აგურით; საერთოდ კი ნაგებია თლილი ქვით და ჩუქურთმებითაც ყოფილა შემქული. დღეს ჩუქურთმიანი არშია შერჩენილი აქვს მარტო შესასვლელ კარს. ეკლესია ერთნავიანია და მაღალი. მისი ფართობი უდრის 12×6 კვ. მეტრს. გადარჩენილია ქვის კანკელი.

შეკეთების მიხედვით ირკვევა, რომ ჩამონგრეული ყოფილა კამაროვანი ქერი და ჩრდილოეთისა და სამხრეთი კედელი. ამგანად ეს ნაწილები მთლიანად ქართული აგურით არის აღდგენილი. ეტყობა, თავკავთას ეკლესია ძველია. იგი აგებული უნდა იყოს მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზე.

ეკლესია მხოატულიც ყოფილა. მხატვრობის ნაწილი შერჩენილია მხოლოდ საკურთხევეელში; კარგად მოჩანს ექვსი წმიდანის მთელი ფიგურა. საკურთხევლის ღრმა ნიშებიც მოხატულია.

ეკლესიას სამხრეთის კარიც შემქული ჰქონია ჩუქურთმიანი არშიით, რომელიც უამთა ვითარებაში დაზიანებულა, შერჩენილია მხოლოდ მისი კონტურები.

საკურთხევლის კედელში გამართულია მაღლა ასასვლელი გვირაბი (სამალიკი).

ეკლესია შემოზღუდული ყოფილა მაღალი გალავნით.

აქვე, ტაძრის ჩრდილო-დასასვლეთით, არის კავთის ძველი ციხე-გალავანი. იგი აგებულია კლდოვან ნიადაგზე ქვითკირით; მისი კედელი ს. მაკალათია

ლის სიმაღლე რვა მეტრია. შესასვლელი აქვს ტაძრის ეზოდან, საშნ-რეთით.

ციხე-გალავანი შედგება ორი ნაწილისაგან და შუაზე გაყოფილია კედლით. გალავნის დასასვლელის კედელი, რომელიც გადასცემ-რის ღრმა და ტყიან ხევს, დაშლილია. კედლებს გარედან მიშენებული აქვს შესამაგრებელი ბურჯები.

კავთის ციხე-გალავანი ნაგებია კლდის დიდი ლოდებით და ციკლოპური ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი კედლის სისქე 1,50 მეტრს უდრის.

შიგ გალავანში დაცულია დიდი ორმო, რომელიც უნდა ყოფილიყო ჭა (წყლისათვის). ციხე-გალავანს უჭირავს ერთი ჰექტარი ფართობი. გალავნის შიგნით კედლებზე მიშენებული ყოფილა საცხოვრებელი ბინები, საგუშავო კოშკები და სხვ., რომლებიც დღეს დანგრეულია.

კავთის ეკლესია თავისი გალავნით შეერთებულია ამ დიდ ციხე-გალავანთან. მათ შუა დატანებულია გასასვლელი კარი. თუ მტერი ეკლესის გალავანში შეიჭრებოდა, მაშინ ხალხი ციხე-გალავანში იხიზნებოდა და აქედან ებრძოდა მტერს. ხალხური გადმოცემით, თავკავთის ეს დიდი ციხე-გალავანი თამარ მეფეს აუგია.

კავთის ქედის ფერდობზე ნასოფლარი ადგილებია. ეტყობა, აქ რამდენიმე სოფელი ყოფილა, რომლებიც ენერგიულად იცავდნენ თავკავთას, ლექთა თავდასხმებისაგან.

თავკავთის ამ ციხე-გალავანს დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა კავთურას ხეობის თავდაცვის საქმეში მოთარეშე ლექებისაგან, რომლებსაც საქართველოს ასაოხრებლად ამხედრებდნენ თურქები და სპარსელები. ლექთა აბრაგები გადმოდიოდნენ თრიალეთიდან კავთურას სათავით და პირველად თავს ესხმოდნენ თავკავთის ამ ციხე-გალავანს, რომლის ხელში ჩაგდების შემდეგ ისინი თავისუფლად ძარცვადნენ ქვათხევის მდიდარ მონასტერს და აქედან კი მთელი კავთურას ხეობის მოსახლეობას.

ამის გამო თავკავთას დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა კავთურას ხეობის თავდაცვის საქმეში. მაგრამ მოზღვავებული მტრის წინააღმდეგ ბრძოლა გაჭირდა მე-17 — 18 საუკუნეში, თურქეთ-ირანის აგრესის პერიოდში; თავკავთაც დაეცა და მთელი ეს ხეობაც გაპარტაბდა.

თავკავთაში დიდი ხატობა იცოდნენ 23 აპრილსა და 10 ნოემბერს (ძვ. სტ.), გიორგობას. სალოცავად მოდიოდნენ ქართლ-კახე-

თის სხვადასხვა მხრიდან. მოჰყავდათ საკლავი და ღამისთევად დგებოდნენ.

ვისაც თავკავთის მიზეზი გამოუვიდოდა, აქ მოჰყავდა ზეარაკი, რომლის ხორცს აქვე დაარიგებდნენ, ხატის დამიზეზების შიშით შინ არ წაიღებდნენ. ვისაც სიშორისა და აღმართის გამო არ შეეძლო თავკავთის მაღალ ქედზე ასელა, იგი ზეარაკითა და შესაწირავით დგებოდა და ღამეს უთევდა მისსავე ნიშთან ქვათახევში და სოფელ პარეტისში, სადაც ნიშთან აყუდია ქვაფიქალი (ხატი) წმინდანის გამოსახულებით.

გუდალეთი მდებარეობს გუდალურას ხევში, რომელიც ერთვის კავთურას კავთისხევთან. ეს სოფელი თვალადიდან ხუთი კილომეტრით არის დაშორებული და აქვს ლამაზი მდებარეობა. იგი იყოფა ორ უბნად, ზემო

და ქვემო გუდალეთად.

თავდაპირველად ამ სოფელში უცხოვრია თ მოდ რეკი ლაძეებს, რომელიც ლეკიანობის გამო აყრილან და გადასახლებულან თვალადში; შემდეგში ნაწილი ისევ გუდალეთში დაბრუნებულა.

გუდალეთის მებატონე ყოფილა თარხნიშვილი, მოდრეკილადე კი მისი ყმა. მოდრეკილადებს თარხნიშვილისათვის მიურთმევიათ ერთი ქილა რერო და ყმობისაგან თავი გაუთავისუფლებიათ. ამავე ბატონის ყმა ყოფილა ხოკერა-შვილიც. მისი წინაპა-



სურ. 6. გუდალეთის კოშკი-გალავანი.

რი ატარებდა ბათლიძის გვარს. მას ბატონისათვის მიურთმევია თ ატარებდა ბათლიძის გვარს. მას ბატონისათვის მიურთმევია უოლო ხოკერათი (ბლის ქერქის კალათი) და ამაზე ბატონი გაჯავრებულა და ბათლიძისათვის უწოდებია ხოკერაშვილით.

აქვე ცხოვრობენ მთიულებიც, რომლებიც 1925 წელს გადმოჰქონდა სახლებულან.

გუდალეთში დაცულია რამდენიმე ეკლესია-სამლოცველო; ესენია: ღვთისმშობელი, წმ. ესტატე, კვირაცხოველი, წმ. მარინე და სხვ.. მათგან ყველაზე ძველი და საყურადღებოა ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც მოთავსებულია შუა სოფელში, ციხე-გალავანში. ეკლესია საკმაოდ დიდია და მაღალი. მისი თავდაპირველი სახით მთლიანად წარმოდგენა ძნელია, მაგრამ დარჩენილი ნაწილების მიხედვით იგი უნდა მიეკუთვნებოდეს მე-13 საუკუნეს. შემქული ყოფილა ლამაზი ჩუქურთმებით, რომელთა ნაწილი დღეს დაშლილია. ეკლესია წარმოადგენს ნანგრევს, ნაწილობრივად დაცულია მისი აღმოსავლეთის კედელი. ამ მხარეზე აქვს ლამაზად მოჩუქურთმებული სარგმელი. კედელში ჩატანებულია სარკმლიანი თხი ქვაფიქალი. აქედან ქვის ვიწრო კიბით გვირაბი ზემოთ აღის. ეტყობა ამით აღითლენ მაღლა ჭირში, სადაც სამალავები უნდა ყოფილიყო გამართული და მრგვალი სარკმლები. აღბათ, გზას აშუქებდნენ სამალავის გზა-კიბისკენ. ეკლესია შიგნით შელესილია, მხატვრობა არ ეტყობა. ბოლო ხანებში იგი ლექებს დაუნგრევიათ.

ძველად ამ ეკლესიაში ქალებს არ უშევებდნენ თურმე. მლოცველი ქალები დგებოდნენ ეკლესის კარებთან, აანთებდნენ სანთლებს და ისე ლოცულობდნენ.

გუდალეთის ღვთისმშობელს ჰქონია დღეობაც—აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს. სალოცავად მიღიოდნენ ქართლის შორეული სოფლებიდან, ღამეს უთევდნენ და ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს.

ეკლესია შემოზღუდულია მაღალი ციხე-გალავნით, რომელიც კარგად არის დაცული და თავისი ნაგებობით ქართლის დამახასიათებელ ციხე-გალავნის ნათელ სურათს იძლევა. ციხე-გალავნი ნაგებია ქვით და დუღაბით. გალავნი თითქმის მთლიანია, მხოლოდ კოშებია თავმორღვეული და ნაწილობრივად ჩაქცეული. გალავნის სიგრძე 40 მეტრია, განი კი 26, კედლის სიმაღლე 5 მეტრს უდრის.

გალავნის იქვს ერთი შესასვლელი კარი სამხრეთით, ჭიშკარი გამართულია კოშკის პირველ სართულში; იგი იკეტება ურდფულით, მისი კოშკი თავმორღვეულია. დანარჩენი თხი კოშკი, რომელიც გალავნის ოთხივე კუთხეშია განლაგებული, კარგად არის შემონახული.

გალავნის კედლებში გამართულია აგრეთვე სათოფურები. ოთხივე კოშკი თითქმის ერთისა და იმავე მოყვანილობისაა. კოშკი მრგვალია, სამსართულიანი; სამივე სართულს თავისი კარი აქვს, შიგ გამართულია სათოფურები, ბუხრები და სარკმელები.

კოშკის გვერდით გალავნის კედელზე ოთხ ადგილას მიშენებულია საპირფარეზო.

ლეკიანობის დროს სოფლები აქ იხიზნებოდნენ და აქედან ებრძოდნენ ლექ-აბრაგებს. მათი მოახლოებისას ზარებს დარეკავდნენ ხოლმე, ყველანი სამუშაოს ტოვებდნენ და გამორბოდნენ ციხე-გალეანში. საქონელიც ისე ყოფილა დამფრთხალი, რომ თოფი გავარდებოდა ოუ არა, შინ გამორბოდაო, იგონებენ ძეელ გადმოცემებს.

გუდალურას გაღმა, ვაკეზე, არის ადგილი, ე. წ. „ნასაყდრალი“. აქ დარჩენილია ეკლესიის მხოლოდ საძირკველი. ამბობენ, რომ პირველად აქ დაუწყიათ გუდალეთის ღვთისმშობლის ტაძრის აგება, მაგრამ ღამე ოსტატების იარაღი ღვთისმშობელს გადაჟქონდა, მაგრამ ღამე საყდარი ვერ შენდებოდაო. თუ ციხე-გალავანში და ამის გამო აქ საყდარი ვერ შენდებოდაო. თუ ციხე-გალავანში დამორჩილებულან ღვთისმშობლის „ნება-სურვილს“ და მისი სახელობის ეკლესია აუგიათ ციხე-გალავნის ეზოში.

წმ. ეს ტატე მდებარეობს გუდალეთ-წიფორის გზაზე, დაფარულია ტყით და ძლიერ მოჩანს. ეკლესია ქვითკირისაა, ერთნავიანი, წარწერები და ჩუქურთმები არა აქვს, დაშლილია, შიგ იყუდია ჩუქურთმიანი ქვების რამდენიმე ფრაგმენტი; შესასვლელი კარის მარცხნივ კედელში ჩასმულია ცისფერი ქვა, რომელზედაც გამოსახულია ღვთისმშობელი ხელში ყრმა იესოთი, მის გვერდით დგას ფრთხოსანი ფიგურა, რომელსაც მარჯვენა ხელი გაშვერილი აქვს ღვთისმშობლისაკენ, მის უკან ბავშვია ხელგაშვერილი. ბარელიეფი შესრულებულია დაბალი ხელოვნებით და გვიანი დროისაა.

ამ საყდრის დაბლობზე, სადაც ახლა ყანებია, არის ძეელი ნასოფლარი. კარგად მოჩანს ჩაქცეული სახლების საძირკვლები და ნაკოშეარი ადგილი. ეტყობა, აქ იყო კარგა მოზრდილი სოფელი, რომლის სალოცავიც წმ. ეს ტატე ყოფილა.

გადმოცემით, ეს ეკლესია აუგიათ კაციაშვილებს და ამ ნასოფლარშიც უცხოვრიათ მათ და ცალქალამანიძეებს, მაგრამ ჭირიანობის გამო აქედან აყრილან და ოვალადში გადასახლებულან.

ლავრა მდებარეობს ლავრის ხევში, მას ჩამოუდის პატარა მდინარე ლავრულა. ლავრის მონასტერი სოფლიდან დამორჩებულია

ორი კილომეტრით. მონასტრის მისასვლელში აღმართულია ნიშანი რომელზედაც აყულია ფიქალქვა ჯვრის გამოსახულებით. ლავრის ღვთისმშობლის ეკლესიას. აქვს ჯვრის ფორმა და მაღალი გუმბათი. იგი განახლების დროს შიგნით და გარეთ შეულესიათ. მხატვრობა და წარწერები არა აქვს.

ეკლესიის დაბლობზე ძველი ნასოფლარია, მოსახლეობა ლეკია-ნობის გამო გადასახლებულა. ლავრა ეკუთვნოდა ლავრელაშვილებს, რომლებიც ყმად გაუხდია თურქესტანიშვილს და ლავრის მამულიც თურქესტანიშვილს დაუსაკუთრებია. თურქესტანიშვილის ნებართვით რუს მონაზვნებს ლავრის ეკლესია განუახლებიათ და მისი კარ-მიდამოს ნაწილიც შეუსყიდიათ. ლავრა მათ გადაუქცევიათ მონასტრად. 1906—7 წლებში მონასტერი დაურბევიათ და მონაზვნებიც გაქცეულან.

გომიჯვარი (ნადირაანთ სოფელი) მდებარეობს მაღლობზე. აქ ცხოვრობენ ნადირაშვილები. ეს გვარი (ნადირაძე) იმერეთიდან გადმოსულა და თარხნიშვილის ყმად გამხდარა. სოფელი ძველია, რასაც მოწმობს ნასახლარი ადგილები, ეკლესიები და დიდი კოშკიც. გომიჯვარს იხსენიებს ვახუშტი იც: „წინარეხს აღმოსავლით და გომიჯვრის ზეით არს მონასტერი ლავრაო“.

გომიჯვარში უცხოვრიათ კოტეტიანთ (კოტეტიშვილებს). აქ მათ ჰქონიათ თავიანთი საკუთარი „პაპაძიანთ“ ეკლესია (წმ. გიორგი). კოტეტიანთ გვარი იხსენიება ქვათახევის მონასტრის აღაში 1518 წ.. კოტეტიანთ პაპა ყოფილა მეფის კარის მღვდელი და აზნაურობაც მიუღია¹.

ეტყობა, ეს სოფელი ლეკიანობის გამო აყრილი და კოტეტი-შვილებიც იქედან გასახლებულიან კავთისხევში. შემდეგ იმერეთიდან გადმოსულან ნადირაძეები და აქ, გომიჯვარში, დასახლებულან. ამ სოფელსაც ეწოდა ნადირაანთ სოფელი, მაგრამ ხალხი მას ისევ ძველებურად გომიჯვარს უწოდებს.


ეს სოფელი მებატონე თარხნიშვილს ეკუთვნოდა; დავალიანების გამო ბატონს ნადირაანთ სოფელი დაუგირავებია ბანქში. ბანქიდან სოფელი შეუსყიდია მანთაშევს, რომელსაც განუჩრახავს აქედან მოსახლეობის აყრა, მაგრამ რევოლუციას მოუსწრია და ნადირაშვილებიც გადარჩნილან.

გომიჯვრის ორივე ეკლესია ერთნაირია; ორივე ნაგებია ქვა-

¹ Пл. Иосселиани, Описание Кватахевского монастыря, გვ. 153.

ყორითა და აგურით, მარტივად და ღარიბულად. ფორმით ცალნა-
 ვიანია.

ქვემოთას, რომელსაც უწოდებენ „ნათლისმცემელს“ ან „წითელ-
 საყდარს“ (აგურის გამო), ჩატანებული ჰქონია წარწერიანი ქვაფი-
 ქალი, რომელიც აქედან ამოუღია სანდრო ნაღირაშვილს და თავის
 ბოსლის კედელში ჩაუშენებია.



სურ. 7. გომიჯვრის კოშკი

ტექსტი მხედრულია და იკითხება ასე:

1. ქ:ჭი:ძმალ:უფლისაღ:წოდებულო:და:მკერდსა:სიტყუისა::
 ღთისანა:მიყრდნ
2. ობილო:ძეო:ქუხილისაო:იოვანე:მახარებელო:ღთის:მეტყველო:
 მეობ:მეყავ:დღესა:მ

3. ას: ზარის: სკდელსა: წინაშე: მეუფისა: ოდეს: ენანი: და და დეს: და: საქმენი: ღა

4. ლალებდენ: ძესა: სულ: კურთხეულისა: მეფის: ვახტანგისასა: რომელსა:

5. ეწოდებოდა სპარსთა: ენათა: მიერ: შავნავაზ: ლეონს: ღა: თანა: მეცხედრესა: ღა: ძ

6. ეთა ჩვენთა: ამინ: აღამს: აქეთ: შვილი: ათას: რებ: ქესა: ტობ: თვე-სა: სეკდენბერს კ [3]

ეს წარწერა ეკუთვნის 1684 წელს¹. აქ მოხსენებულია ვახტანგ V შავნავაზად წოდებული, რომელიც მეფობდა 1658—1675 წწ. და მისი ძე ლეონი, ვახტანგ VI მამა.

ამ ეკლესიის უკან არის აგურნარევი კლდის ქვით ნაგები შენობის ნაშთი, რომელიც წააგავს წყაროს. იგი თალიანია; დატანებული აქვს წყლის მილები. ამბობენ, აქ იყო წყლის აუზიო, საიდანაც წყალი მილებით შედიოდა ასეთსავე მეორე ნაგებობაში, რომელსაც უჩვენებენ გზის პირას, თუმცა კვალიც არ ეტყობა მისი.

მეორე ასეთივე ტიპის ეკლესიას უწოდებენ ერკემლისა ყდა არს. ამ საყდრის თავზე გამოსახული ყოფილა ერკემალი (ყოჩი). კარის ჩარჩოს შერჩენილი აქვს ჩუქურთმიანი არშია.

აქვეა კარგად ნაგები ხუთსართულიანი და კვადრატული ფორმის მაღალი კოშკი, რომლის სახურავი ჩაქცეულია. მას გარშემო აქვს ორ-ორი ჩარდახი. სართულებში გამართულია სათოფურები, თახები, ჭარა რამდენიმე ბუხარი. პირველ სართულში დატანებულია თიხის ორი მილი. მთელი ეს ფართობი თავისი კოშკით, ეკლესიითა და სხვა ნაგებობებით შემოზღუდული ყოფილა გალავნით, რომლის კვალი ახლაც ეტყობა.

ამბობენ, რომ გომიჯვარში ამ ადგილას მეფე ისევნებდა და ეს ციხე-გალავანიც სამეფოდ ყოფილა მოწყობილი (წყლის აუზი, აბანო, სასახლე და სხვ.).


მატერიალური კულტურის ძეგლებში ყურადღებას იქცევს აქაური საფლავის ქვები, რომლებზედაც გამოსახულია ყოფა-ცხოვრების რეალიები. ისინი, ამავე დროს, წარმოადგენენ ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

საფლავის ქვები მოტანილია ნიჩისიღან, ჭყობიანიღან და ძეგ-

¹ ამ წარწერის ტექსტი დაბეჭდილი აქვს ვ. ბერიძეს — „წინარენი — გომიჯვარი — სასხორი“. იხ. საქარ. სსრ მეც. აკადემიის მომებე ტ. 4, № 6, თბ. 1948 წ. გვ. 608.

ეიდან. მათ შორის უკეთესად ითვლება ჭყოპიანის ქვა, როგორც უფრო გამძლე და შეღარებით ძვირადაც ფასობს.

კავთურას ხეობაში ყოველ სოფელს აქვს თავისი სასაფლაო, ჩვე-



სურ. 8. გუთანის მთლელის საფლავის ქვა

ულებრივად იგი მოთავსებულია ეკლესიის მახლობლად, ან ეკლესიის ეზოში.

საფლავის ქვას ოსტატი ამზღვებს დამჯვერის სურვილის მიხედ-

ვით და მასში მიცვალებულის პიროვნების დამახასიათებელი ნიშნები; მაგალითად, გუთნის დედა გამოსახულია გუნეულით, ღურგალი—ხერხითა, ცულითა და ხელებითი, მკერავი—უთოთი და მაკრატლით, მეცხვარე—კომბლითა და ცხვრისსაპარსი მაკრატლით და სხვ. საფლავის ქვების გამოსახულებანი საყრალებოა აგრეთვე ეთნოგრაფიულადაც. კარგად არის გაღმიცემული ეპოქის დამახასიათებელი ტანთჩაცმულობა: ნეფე—ტოტებიანი გვირგვინით, პატარძალი—სადედოფლო კაბაში, თავდახურული მანდილოსანი და სხვ.

საფლავის ქვებზე გვხვდება დლევანდელი იდეოლოგიის ამსახველი ნიშნებიც; ხუთქიმიანი ვარსკვლავი და ჩაქუჩა-ნამგალი თანდათანობით ცვლიან საეკლესიო ჯერებსა და კელაპტრებს. ზოგან საფლავის ქვებზე ამოჭრილია სევდიანი ეპიტაფიები, რომლებშიც მიცვალებული მოგვითხობს თავის უბედობას, ჭირისუფალი კი უნუგეშომწუხარებას.

შრომა-საჭირობა

რევოლუციამდელ პერიოდში კავთურას ხეობის მემამულეები იყვნენ თარხნიშვილები და ჯავახიშვილები. აქაური გლეხობა მათ უწევდა ყმურ სამსახურს და უხდიდა სხვადასხვა საბეგრო გადასახადს. გლეხობას მიწა არ ჰქონდა, ამის გამო იგი იძულებული იყო ამ მემამულეთა მიწები დაემუშავებინა და მათოვის მიეცა მოსავლის ნახევარი. გაღმობითნული მოიულები კი მემამულეს უხდიდნენ „მახტას“, კომლზე წლიურად 10—25 მანეთამდე.

ტყე, საძოვარი, სარწყავი რუები და სხვა მემამულეების განკარგულებაში იყო და გლეხებს მათ ნებადაურთველად სარგებლობა არ ჰყებლოთ.

სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე ხომ არავინ ზრუნავდა და გლეხობა აქაურ მამულებს ამუშავებდა პრიმიტიული წესებით. ამის გამო მოსავალიც მცირე მოდიოდა და მოსახლეობასაც სარჩო არ ჰყოფნიდა. მშრომელი გლეხობის უმეტესი ნაწილი, რომელსაც არც მიწა და არც სამუშაო იარაღები არ გააჩნდა, შიმშილობდა.

გლეხობის შეძლებული ფენა მემამულეებისაგან მიწებს მამასის-ხლად ყიდულობდა.

ძირითადად აქაური მოსახლეობა მისდევდა მემინდვრეობას, ნაწილობრივ მევენახეობასაც.

მიწას ხნავდნენ ხის გუთნით, რომელშიაც შებმული იყო რამ-დენიმე ულელი მუშა საქონელი.

ღარიბ გლეხობას გუთნეული არ გააჩნდა და ამის გამო რამ-დენიმე კომლი ერთიანდებოდა და ასე ამუშავებდნენ მიწას. გუთ-ნეულში ხარზე ერთი დღე იყო დაწესებული, ე. ი. ერთი დღიუ-რი მიწის მოხვნა. გუთნის დედას ეკუთვნოდა ექვსი დღე, ღამის მეხრეს ოთხი დღე, ღლის მეხრეს ორი დღე და სხვ.. სასმელ-საჭმე-ლი იმისი იყო, ვისი მიწაც იხვნებოდა. მიწის მოხვნის წინ და ღამ-თავრებისას დაილოცებოდნენ და ზეცას შესთხოვდნენ ზომიერ ნამსა და სიობოს. თუ გვალვა დადგებოდა, წვიმის მოსაყვანად მიმართავდ-ნენ სხვადასხვა წესებს. აწყობდნენ „ლაზარეს“. ამისათვის აკეთებდ-ნენ დედოფალას და მას სოფელში ჩამოატარებდნენ, თან მღეროდ-ნენ: „აღარ გვინდა გოროხიო, ღმერთო, მოგვეც ავდარიო“ და სხვ.. თუ ეს არ უშველიდა, მაშინ იცოდნენ გუთნის გაცურება მდი-ნარეში. დედაქაცებს შეაბამდნენ გუთანში და წყალში გაატარ-გა-მოატარებდნენ (ვითომც ხნავენ). ქალები ერთმანეთს წყლით წუწ-ვდნენ და იძახოდნენ: „წვიმა მოვიდაო.“

რასაკვირველია, ასეთი ცრურწმენა გვალვას არ შველოდა; მე-მამულე კი ასეთ შემთხვევაში წყლის სიმცირის გამო გლეხობას არ აძლევდა თავისი რუებიდან მოსარწყავ წყალს და ყანებიც ფუჭ-დებოდა.

თუ ავდარს დაიჰქერდა, მაშინ ცრუმორწმუნე გლეხობა ელიას ევედრებოდა სეტყვისაგან დაეფარა ნათესები, რისთვისაც ციკანს უკლავდნენ მას.

თუ ყანები გადაურჩებოდა გვალვასა და სეტყვას, მაშინ გლეხი ცდილობდა იგი დაეცვა ფრინველებისაგან და აკეთებდა „ჩი ტ ა-ფაობას“ და სთხოვდა ჩიტებს, ყანა არ გაენადგურებინათ.

ასე ვაი-ვაგლახით მოყვანილ ჭირნახულის გალეწვას რომ შეუდ-გებოდა გლეხობა, ახლა მას კალოზე მიადგებოდა მენახევრე მემა-მულე, მღვდელი, რომლისთვის დრამაში¹ უნდა მიეცა ერთი თუ ორი ჩანახი პური და სხვა მრავალი მოვალეც. მას პირველ გალე-წილ პურიდანვე უნდა აეღო ხატისათვის განკუთვნილი „მზეარა“ და სხვ.. ასევე იყო მევენახეობაშიც. გლეხი ამუშავებდა მემამულის ზე-რებს. თავისი ვენახიდან გლეხი ვალდებული იყო მემამულისათვის მიერთმია რამდენიმე კოქა ღვინო, ხატისათვის კი „ზედაშე“ პირ-ველად დაწურული ღვინიდან.

¹ საექლესიო გადასახადი მღვდელმსახურობისათვის.

კავთურას ხეობის მოსახლეობა ცხოვრობდა შეჯგუფებულადაც სახლები ჰქონდათ მიწური და ბანიანი. ადამიანი და საქონელი ერთ მიწურ დარბაზში იყო მოთავსებული, ჰაერი იყო ნესტიანი და მძიმე. მემამულებს კი ევროპულად გამართული სახლ-კარი ჰქონდათ, სამზარეულოთი და საჯინიბოთი.

სკოლები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი სოფლად არ არსებობდა. ერთადერთი გასართობი აღვილი იყო ეკლესია-მონასტრები, სადაც სრულდებოდა წირვა-ლოცვა და წელიწადში ერთხელ იმართებოდა ხატობა – სოფლის დღეობა.

ყველაზე დიდი ხატობა იმართებოდა ქვათახვეში, სადაც დიდალი ხალხი იყრიდა თავს. დგებოდნენ ლამისთვეად და ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს. მუსიკითა და ცეკვა-თამაშით შემოუვლიდნენ ეკლესიას, იშლებოდა სუფრები და ღროს ატარებდნენ სმა-ჭამაში. იმართებოდა ჭიდაობაც, ბოლოს ამას მოყვებოდა ჩხუბიც და შეიქმნებოდა ერთი ორომტრიალი. ასე ცხოვრობდა გლეხობა საუკუნეთა მანძილზე.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ძირდეს ვიანად გარდაქმნა ძველი სოფელი და მისი ყოფა-ცხოვრება. გლეხობა საბოლოოდ გათავისუფლდა მემამულებისაგან და თეოთონვე გახდა სოფლის ბატონ-პატრიანი.

დღეს კავთურას ხეობის მშრომელი გლეხობა ჩატმულია საკოლმეურნეო მშენებლობაში; ისინი გაერთიანებული არიან კოლმეურნეობებში, რომლებიც უმთავრესად ეწევა მემინდვრეობას და მესაქონლეობას. მემინდვრეობაში უხვ მოსავალს იძლევა: პური, ქერი და ჭარხალი, სიმინდიც ბლომად მოჰყავთ. მისდევენ აგრეთვე მევენახეობასა და მებაღეობას. ვაზებში აქ ხარობს რქაწითელი და ჩინური (ჩრდილის). ადგილი სარწყავია, ჰაერი ზომიერი, რაც ხელს უწყობს მოსავლის სიუხვეს. ამასთანავე, აქაური სოფლის მეურნეობა მექანიზებულია. მუშაობენ ტრაქტორები და კომბაინები.

კავთისხევშია აგრეთვე შამპანურის კარგად მექანიზებული დიდი ჭარხანა.

კოლმეურნეობებს ჰყავთ აგრინომები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ კოლმეურნე გლეხობას მინდვრის კულტურების მოვლა-დამუშავებაში და აგრეთვე აძლევენ რჩევა-დარიგებას სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე. აქაური კოლმეურნე გლეხი დღეს საქმაოდ გათვითცნობიერებულია უხვი მოსავლის მოყვანის

საქმეში, დარწმუნებულია თავის ცოდნაში და არ ესაჭიროება ყველი გამაპაპური ცრუმორწმუნეობის გამოყენება.

კოლმეურნეობათაგან ყველაზე მოწინავეა კავთისხევის კოლ- ვეურნეობა, რომელსაც კარგად აქვს დაყენებული სოფლის მეურ- ნეობის მექანიზაცია და შრომის ორგანიზაციის საქმე.

აქაური კოლმეურნეები ეწევიან მეცხოველეობასაც. ყველგან აქვთ მეცხოველეობის ფერმები, უმთავრესად მისდევენ მეძროხეო- ბასა და მეცხვარეობას. მათ შორის კავთისხევის ფერმა ყველაზე მო- წინავეა. ამზადებენ რძის სხვადასხვა ნაწარმს (კარაქი, ერბო, ყველი და სხვ.).

ფერმებს ჰყავთ თავიანთი ვეტექიმები და ზოოტექნიკოსები, რომლებიც ხელს უწყობენ მეცხოველეობის ზრდასა და განვითა- რებას.

საქოლმეურნეო მშენებლობასთან ერთად სახე იცვალა სოფელ- მაც. აქაური კოლმეურნეები ცხოვრობენ შეძლებულად. სოფელი კეთილმოწყობილია. გაყვანილია გზები და სასმელი წყაროები. სახ- ლებიც ქალაქურია, ბევრია ორსართულიანი, კარ-სარკმლებითა და აივნებით გამართული. სახლის შინამოწყობილობაც ქალაქურია. ცხოვრობენ სუფთად და კულტურულად. სოფლები განათებულია ელექტრო-შუქით. ელსალგურები აგებულია კავთისხევში, გუდალეთ- ში და თვალადში. სოფლებში ყველგან არის საექიმო პუნქტები, კავთისხევში კი აქვთ კარგად მოწყობილი საავადმყოფო. ავადმყოფო- ბის შემთხვევაში აქაურ კოლმეურნეს უკვე არ ესაჭიროება მკითხავი, ქადაგი და ექიმბაში, არც ხატის დამიზეზიანობის გამო ხატებში სიარული; იგი მიღის საავადმყოფოში, სადაც უფასოდ მჯურნალობენ.

კავთურას ხეობა კულტურულად საკმაოდ დაწინაურებულია. აქ არსებობს სხვადასხვა ტიპის სკოლები: საშუალო სკოლა არის კავთისხევში, სხვაგან რვაწლიანი და ოთხწლიანი სკოლებია, რომ- ლებშიც სწავლობს აქაური მოზარდი თაობა. წერა-კითხვის უკო- დინარობა კარგა ხანია ლიკვიდირებულია. ბევრი სწავლობს სხვა- დასხვა უმაღლეს სასწავლებლებშიაც.

აქვთ კლუბები და სამკითხველოებიც (კავთისხევში, წინარებ- ში, გუდალეთში, ხანდაქში და სხვ.). კლუბებთან ჩამოყალიბებუ- ლია მომლერალთა, მოცეკვავეთა, სპორტისა და სხვა გუნდები და წრეები. კავთისხევში არის კინოდანადგარი, რომელიც მოსახლეო- ბას უჩვენებს სხვადასხვა კინო-სურათებს. კლუბებთან არსებული

დრამტურგი ხშირად მართავს წარმოდგენებს, რომლებიც დიდაღიან
კოლმეურნებს იზიდავს.

ყველაფერი ეს ხელს უწყობს აქაური გლეხობის გათვითცნო-
ბიერებას. გლეხობა კულტურულად ერთობა კლუბებსა და სამკით-
ხველოებში; სადაც ამისათვის შექმნილია ყველა პირობა.

შ ი ნ ა რ ს ი

უგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა	3
ერიალური კულტურის ძეგლები	10
მა-ყავმიანობა	42

Макалатиа Серги Иосифович
КАВТУРСКОЕ УЩЕЛЬЕ

(На грузинском языке)

Художник Д. Дундуа.

Детюниздат Грузинской ССР

«Накадули»

Тбилиси

1960

* * *

რედაქტორი ვ. ბერიძე

მხატვ. დ. დუნდუა.

მხატვ. რედაქტორი ვ. დიკი

ტექნიკისტი ვ. მეგმარიაშვილი

კორექტორი მ. მთვარიაშვილი

* * *

გადაეცა წარმოებას 11/I-60
ხელმოწ. დასაბეჭდად 25V-60 წ.

ანაზუღობის ზომა $6 \times 9\frac{1}{2}$

ქაღალდის ზომა $60 \times 92\frac{1}{16}$

ნაბეჭდი თაბახი 3. სააღრიცხვო-
საგამომცელო თაბახი 2,3

ტირაჟი 3.000

უე 03029

შეკვ. № 36

ფასი 1 მან.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის
პოლიგრაფიულმანატი „კომუნისტი“, თბილისი,
ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат «Коммунисти»
Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси,
ул. Ленина № 14.